

140
1968

# პიონერი

8
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან ჭილაშვილი

ფოტო
ანზორ ჩიგოგიძისა.

შავი კი არა, ლურჯი ზღვა! ცა ფირუზი, ხმელეთი — ზურმუხტი, მზე ოქროსფერი — ცხრათვალა!

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კურორტი ქობულეთი, იმას არ გაუკვირდება, რომ პიონერებმა ეს ულამაზესი კუთხე აირჩიეს საბანაკოდ, ხალისიანი ზაფხულის გასატარებლად!

ამ რკინისსვეტებიან ჭიშკარს იქით სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკია.

— უცხო პირთა შემოსვლა არ შეიძლება! — გადაგვიდგნენ კართან მორიგე პიონერები: რა ძალა გვქონდა! — ვთხოვეთ მოეხმოთ ბანაკის უფროსი. პიონერებმა ჩვენი თხოვნა უმალვე შეასრულეს, და რაკი შეიტყვეს, რომ „უცხოები“ კი არა, ჟურნალ „პიონერის“ რედაქციიდან ვიყავით, სწრაფად გაგვიღეს ჭიშკარი, თავაზიანად შეგვიპატიჟეს ბანაკში...

...მზე სადღაც შორს, მთებისიქით ამოიწვერა. ზღვაზე გაწოლილი ცისფერი ნისლი გალღვა, გაიცრიცა და ტალღებმა ციმციმი დაიწყეს.

აგუგუნდნენ პიონერული საყვირები! აიშალა ბანაკი. ყვავილნარით დამშვენებულ ეზო-ყურეს გარუჯული გოგო-ბიჭები მოეფინენ.

ხალისით ჩატარდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში. რაზმეული ხაზზე მოეწყო. პიონერული რიტუალის მერე უფროსი პიონერხელმძღვანელი — ალექსანდრე ბერიძე პიონერებს დღის რეჟიმს აცნობს. ყველას კმაყოფილებით უღიმის სახე. ეს დღეც შინაარსიანი იქნება. ზღვაზე ბანაობის მერე ექსკურსიები ეწყობა: პირველი რაზმი თევზის ქარხნის დასათვალიერებლად წავა ჩოლოქთან, (ჩოლოქი მდინარეა, ქობულეთის გარეუბანში ერთვის ზღვას), მეორე, მეოთხე და მეშვიდე რაზმები — ჩაის პლანტაციაში. პიონერები ჯერ ცოტა ხელს წააშველებენ კოლმეურნეებს

ცოტაც და, მივწვდებით!



მზე ეთხოვება ნაპირს!

# [illegible]

10.663



მზად ვართ ალამი
ავღმართოთ მზისკენ!

და მერე, თავიანთი თვითმოქმედებით დაატკბობენ. მესამე და მეექვსე რაზმები კი ქალაქის დასათვალიერებლად გასწევენ.

„ხაზზე დგას“ უფროსი მზარეული ძია ალექსიც. გაფაციცებით ტრიალებს ღუმელთან. იმისი შეკაზმული კერძი ჯერ არავის გადაუდგამს გვერდზე, არვის დაუწუნია. დილაობით გემრიელი ფაფა მართლაც, რომ მისწრებაა... ჰოდა, ძია ალექსისაც ვეება ქვაბი პირთამდე აუვსია.

ამ სამ გოგნას კი საით მიეჩქარება, ასე საგულდაგულოდ რომ ჰკონავენ თაიგულებს?

რაზმეულის საბჭოს დავალებით, ნათელა დავითაშვილი, ნელი ბერიშვილი და სოფიო დავლაბერიძე ყოველდილა ახალ-ახალი ყვავილებით ამკობენ ბანაკის ახლო მდებარე ძმათა სასაფლაოს. ეს საპატიო დავალებაა და გოგონებიც დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით ასრულებენ...

. . .

ქობულეთის გაშლილი სანაპირო პიონერებით აივსო. რა სჯობს ზღვაში ბანაობას, თეთრად აქოჩრილ ტალღებთან შებმას. მართალია, ნაპირია, მაგრამ ზღვა მაინც ზღვაა! უთუოდ გულადი უნდა იყო, მამაცი!

მთელი დღე რომ წყალში ამყოფო, ბავშვებს არ მოსწყინდებათ, მაგრამ ექიმი ვალენტინა შავგულიძე მკაცრად დასცქერის საათს, წყლიდან ამოსვლის ნიშანი ყველასათვის კანონია!

...რაზმებმა საექსკურსიოდ გასწიეს. წკრიალა სიმღერით გამოვიდა პირველი რაზმი გზატკეცილზე და გეზი ჩოლოქისაკენ აიღო.

პიონერებს გულღიად შეხვდნენ თევზის ქარხნის მუშები. ეტყობა, აქ პიონერები იშვიათად არ მოდიან სტუმრად. უკვე იციან რა უნდა უჩვენონ, რა უნდა უამბონ. პიონერებმა დაათვალიერეს თევზის ბოლში გამოსაყვანი საკნები, გაიგეს როგორ ხდება თევზის დამარილება და ბოლში გამოყვანა...

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

8 · აგვისტო · 1968
გამოცემის XXXXII წელი



. . .

ბანაკი ისევ გამოცოცხლდა. ექსკურსიიდან დაბრუნდნენ პიონერები. სასადილოში ჯამ-ჭურჭელი ახმაურდა... ცხელ წვნიანს ოხშივარი ასდის...

შუადღეა. ერთხანს ატეხილი ჟრიამული ისევ მიწყდა. ყველა თითისწვერებზე შედგა. ბანაკში დასვენების საათმა ჩამოჰკრა.

მზემ დრო იხელთა და პირი დაიბანა. მარგალიტებივით აბრჭყვიალდა ფიჭვის წიწვებზე დაკიდებული წვიმის წვეთები. ჩვენ კი პიონერთა ოთახის კარი შევაღეთ. ნათელ, ფართო დარბაზში შესვლისთანავე თვალი მოგვტაცა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველმა და სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სტენდებმა. პიონერებს უკვე მოუსწრიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის კუთხის მოწყობაც. კედლებს ამშვენებს რაზმეულისა და რაზმების ლამაზად გაფორმებული, შინაარსიანი კედლის გაზეთები.

ბანაკის უფროსმა მამია საჯაიამ და უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ბანაკის მომავალი გეგმები გაგვაცნეს.

კომკავშირის 50-ე წლის იუბილის შესახვედრად საინტერესო ღონისძიებები დაუსახავთ. ბანაკი შეხვდება ქობულეთის რაიონის მოწინავე კომკავშირელ მეჩაიეებს და ბობოყვათის კოლმეურნეობის აგრონომს ნათელა ჩელებაძეს. ნათელა ჩელებაძე პიონერი იყო, სოციალისტური შრომის გმირის წოდება რომ მიენიჭა ჩაის კრეფისათვის. კომკავშირის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება ქობულეთის ბანაკების გაერთიანებული ლაშქრობაც სოფელ დაგვაში. სოფ. დაგვა 40 კილომეტრის დაშორებით, მთებში მდებარეობს...

პიონერები დიდი მონდომებით ემზადებიან თავიანთი ბანაკის არსებობის მეათე წლისთავისთვისაც. ეს თარიღი მათ საზეიმოდ უნდა აღნიშნონ. მოიწვევენ ამ ბანაკის დამაარსებელს, ძველ ბოლშევიკს, ამჟამად პერსონალურ პენსიონერს ფენია გეგეშიძეს, ბანაკის პირველ უფროსს გ. ევგენიძეს, მასწავლებლებს პავლე ნაცვლიშვილს, ნადია გედევანიშვილს და ბანაკის საპატიო წიგნში შესულ პიონერებს, რომლებიც უკვე შრომის ფრონტზე მოღვაწეობენ.

. . .

...მზე გადაიხარა. პიონერებმა ახლა სპორტულ მოედნებზე მოიყარეს თავი. ბურთმა შეინავარდა ჰაერში. მოედნებს გარს შემოერტყნენ თავთავიანთი გულშემატკივრები.

— „გარინჩა“ თამაშობს! ერთი უყურე, როგორ მარჯვედ ამოჰკრა ბურთს! — აღტაცებით ეუბნებიან ერთმანეთს ძმები ნუგზარ და გოჩა მერაბიშვილები.

„გარინჩას“, გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელს, გიორგი მანუკიანს ეძახიან. „გარინჩა“ ხომ ბრაზილიურად ჩიტს ნიშნავს, ჰოდა, გიორგიც ჩიტივით დაჰქრის მოედანზე; მაისურაზე დიდი 8-იანი აწერია. აი, ახლაც მარჯვედ გამოაცალა ყველას ბურთი და მოულოდნელად მოწინააღმდეგის კარისაკენ გასტყორცნა.

**ვის როგორ უყვარს განმარტოება**

ბანაკში მხოლოდ ოქტომბრელები დარჩენილან. ჭადრების ჩრდილში ჩიტებივით მიმსხდარან. ზოგს წიგნი გადაუშლია, ზოგს კი გვირილასა და ზიზილასაგან გვირგვინები დაუწნავს. ესაოდა პატარები ვართო, გულხელდაკრეფილები კი არ შეჰყურებენ უფროსებს! აი, ეს ნარინჯისფერი ყვავილების ბუჩქები, კოცონებივით რომ ღუიან, ამათი გახარებულია. შეხეთ, ჰორტენზიებიც როგორ დახუნძლულან ცისფერი ყვავილებით. ოქტომბრელთა ჯგუფი მეშვიდე რაზმს მეფად ჰყავს აყვანილი. ამ რაზმის პიონერები არც შრომაში და არც გართობის დროს, უყურადღებოდ ერთი წუთითაც არ სტოვებენ თავიანთ პატარა მეგობრებს.



**გულითაც რომ გინდოდეს, შორს ვერ გასცურავ. ნავს იქით „აკრძალული ზონაა“.**



— არის! — აღტაცებაში მოვიდნენ მაყურებლები.

რაზმეულის თავმჯდომარე დარეჯან ბუცხრიკიძე დიდ გაწამაწიაშია: გოგონებთან ერთად ჰგვის და ასუფთავებს აკაციის ხეივანს. საღამოს აქ ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილისადმი მიძღვნილი კონკურსი მოეწყობა. ვნახოთ, ვინ უკეთ წაიკითხავს მგოსნის ლექსებს.

...ღელავენ კონკურსის მონაწილე პიონერები. სამი ჯილდოა დაწესებული, ჯილდო კი საუკეთესოთა ხვედრია!

დაიწყო კონკურსი. ბავშვები გულთბილად და გამომეტყველებით ამბობდნენ ნ. ბარათაშვილის უკვდავ სტრიქონებს. პირველი ჯილდო დარეჯან ბუცხრიკიძემ მოიპოვა, მეორე — შორენა დანელიამ და ზურაბ ესებუამ, მესამე — ნატო ებრალიძემ და მარინე თავდგირიძემ. ერთი საერთო ჯილდო კი ის დიდი სიამოვნება იყო, ჩვენი სანუკვარი მგოსნის ლექსებმა რომ მიანიჭა ნორჩ მკითხველებს.

ბანაკი შინაარსიანად ატარებს ზაფხულს. ყველანაირი წრეები მუშაობენ: ზოგი მხატვრობას გაუტაცნია, ზოგი — ბუნების შესწავლას, ზოგს — ხელგარჯილობაში გაუთქვამს სახელი. ზურაბ ჭარბაძეს ბანაკის პოეტად იცნობენ. ხეზე ჭრასაც ხალისობს, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად სახელოსნოში ატარებს...

დაბინდდა. ალამი დაეშვა. საწოლ კორპუსებში ელნათურები აციალდა... ღამის ათი საათისათვის კი ბანაკი ღრმა ძილს მიეცა.

ფოტო ა. ჩიგოგიძისა.



**მადა ჭამაში მოდის!**



**მოვდივართ, მოგვიხარიან!**



# კომკავშირელი სამამულო ომის წლებში

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, ფაშისტური სისხლიანი ჩექმა თავხედურად შეეხო საბჭოთა მიწას. დაიწყო დიდი სამამულო ომი. მთელი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში თავმოყრილი იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში. ამ კომიტეტს საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი მეთაურობდა. ამ საგანგებო დღეებში წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მოწოდებად გადაიქცა ი. ბ. სტალინის სიტყვები: ,,თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები... ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, განმათავისუფლებელი ომია, სამართლიანი ომია. დაე ამ ომში აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!“

კომუნისტური პარტიის მოწოდებას ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა მოქალაქე გამოეხმაურა. რუსები და ქართველები, უკრაინელები და აზერბაიჯანელები, ბელორუსები და ყაზახები, უზბეკები და სომხები, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები ერთიან ურღვევ კედლად აღიმართნენ სასიკვდილო საფრთხის წინაშე.

პარტიის მოწოდებას საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობაც გულმხურვალედ გამოეხმაურა. მის ავანგარდში კომუნისტური პარტიის ნაცადი თანაშემწე — ლენინური კომკავშირი მიაბიჯებდა.

ომის პირველსავე დღეებში 900 ათასი კომკავშირელი შევიდა წითელი არმიის რიგებში. ლენინგრადის ყველა კომკავშირელმა შეიტანა განცხადება და ფრონტზე გაგზავნა ითხოვა. ლენინის ქალაქის ყოველი ათი კომკავშირელიდან ცხრა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მოსკოვის კომკავშირულმა ორგანიზაციამ პირველ თვეებშივე წითელ არმიას 300 ათასამდე კომკავშირელი მისცა, საქართველომ — 150 ათასი კომკავშირელი. კომკავშირელები ბრძოლის ყველაზე ძნელ უბნებზე მიდიოდნენ, ეუფლებოდნენ საბრძოლო ტექნიკას, სანიტარულ საქმეს, აგებდნენ თავდაცვითს ზღუდეებს, თავდადებით მუშაობდნენ ზურგში...

სამშობლოსათვის თავდადების ლეგენდარული მაგალითები გვიჩვენეს კომკავშირელებმა და კომკავშირის მიერ აღზრდილმა საბჭოთა პატრიოტებმა: ალ-

ექსანდრე მატროსოვმა, ნიკოლოზ გასტელომ, შოთა გამცემლიძემ, ზოია კოსმოდემიანსკაიამ, ჭიჭიკო ბენდელიანმა, გიორგი ინასარიძემ, ლიზა ჩაიკინამ, საშა ჩეკალინმა, მაჰმედ გულევმა, ზოია რუხაძემ, თინა იოსებიძემ, დავით ჯაბიძემ, მელიტონ ქანთარიამ, ნოე ადამიამ, ირაკლი ციციშვილმა, ვლადიმერ კანკავამ, გრიგოლ სხულუხიამ და სხვებმა. ალექსანდრე მატროსოვის გმირობა ორასამდე საბჭოთა მეომარმა გაიმეორა. (თანამებრძოლების გადასარჩენად მატროსოვი მტრის ტყვიამფრქვევის ლულას მკერდით გადაეფარა). ნიკოლოზ გასტელოს მსგავსად თავის ალმოდებულ თვითმფრინავს მტერს ანარცხებდნენ ათეულობით სხვა გმირი მფრინავებიც; ვიქტორ ტალალიხინის მაგალითისამებრ, მტრის თვითმფრინავებს მრავალი ათეული ცის შევარდენი პირდაპირი დაჯახებით ამსხვრევდა...

სევასტოპოლელი მეზღვაურები ხუთნი იყვნენ: პოლიტხელი კომუნისტი ნიკოლოზ ფილჩენკო, კომკავშირელები — ვასილი ციბულენკო, იური პარშინი, ივანე კრასნოსელსკი და დანიელ ოდინცოვი. შეტევაზე გერმანელთა 15 ტანკი გადმოვიდა. (თვითეულ საბჭოთა მეომარზე — სამი ტანკი). მებრძოლებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ არცერთი ტანკი არ გაეშვათ დაკავებული ზღუდიდან. რამდენიმე ტანკი მწყობრიდან გამოიყვანეს. პირველად ციბულენკო დაიჭრა სასიკვდილოდ. ტყვიამფრქვევით მოცელილი, ცოცხალ-მკვდარი ვანია კრასნოსელსკი ტანკთან მიცოცდა და ძრავის ლიუკს საწვავით სავსე უკანასკნელი ორი ბოთლი დაახალა. დანარჩენმა სამმა თოფი გადააგდო, წელზე ხელყუმბარები შემოირტყა და ერთმანეთი გადაკოცნა. ფილჩენკო პირველი გაემართა ტანკის შესახვედრად. ტანკი დაეძგერა მას. გაისმა აფეთქების ხმა. მის კვალდაკვალ კიდევ ორი აფეთქება მოხდა: — ფაშისტურ ტანკებს მუხლუხებში ჩაუვარდნენ ოდინცოვი და პარშინი. ხუთეულიდან არცერთი არ დანებდა მტერს, არცერთმა არ დაიხია უკან...

მოსკოვისაკენ მიმავალ ვოლოკალამსკის გზატკეცილზე ერთ-ერთ ზღუდეს გენერალ პანფილოვის გვარდიული დივიზია იცავდა. ამ დივიზიის 28 გვარდიელმა დუბოსეკოვოს გადასარბენთან ლეგენდარული გმირობა გამოიჩინა. თითქმის ყველა ეს 28 გმირი ახალგაზრდა იყო. ოთხ საათზე მეტხანს გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. როცა ამ მამაცებისაკენ გერმანელთა კიდევ 30 ტანკი გამოემართა, პოლიტხელმა კოლოჩკოვმა თქვა: „უეჭველად სიკვდილი მოგველის ყველას. რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდასახევი გზა არსად არის: ჩვენს უკან მოსკოვია!“ გვარდიელები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ფეხმოუცვლელად იდგნენ — არ გამოუშვეს ფაშისტური ტანკები.

ლენინგრადის გმირული ბლოკადა 900 დღე-ღამე გრძელდებოდა. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კომკავშირელებმა. ამ ქალაქის 283 ათასი კომკავშირელი ფრონტზე წავიდა, 600 ათასზე მეტი ახალგაზრდა ქალაქის ირგვლივ თავდაცვითს ზღუდეებს აგებდა, 6 ათასზე მეტი კომკავშირელი ტორფისა და ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა.

ლენინგრადის დაცვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 129 მებრძოლს მიენიჭა; 170 ათასზე მეტი ლენინგრადელი და ლენინგრადის ოლქის 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა პარტიზანი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. 5 ათსზე მეტი მოსწავლე დაჯილდოვდა მედლით — „ლენინგრადის დაცვისათვის“. ლენინგრადის დაცვაში თავი გამოიჩინეს ქართველმა კომკავშირელებმა: დ. ჯანელიძემ, კ. ჭუბაბრიამ, ა. წიკლაურმა, მ. მჭედლიშვილმა, დ. ბერიძემ, გ. თოდაძემ, ა. ნადირაძემ, ვ. ცეცხლაძემ, ბ. გავაშელმა, გ. აბესაძემ, შ. მაკარაშვილმა, ნ. მურადაშვილმა და სხვებმა.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი რუსული დიდების ქალაქის — სევასტოპოლის გმირული დაცვის ეპიზოდები. გმირი ქალაქის დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში მრავალმა ქართველმა კომკავშირელმა, კომკავშირის აღზრდილმა და ახალგაზრდამ ისახელა თავი. მამაცურად იბრძოდნენ საქართველოს სახელოვანი შვილები: ა. იაშვილი, დ. მახაშვილი, მ. კურატაშვილი, ა. ქორქოლიანი, შ. ნადარეიშვილი, ს. ოდიაშვილი, ო. ჯაიანი, შ. კოპაძე, შ. დავითაშვილი და სხვები.




ყირიმისათვის ბრძოლებში მშობლიური საქართველო ასახელა კომკავშირის აღზრდილმა, მზვერავმა გრიგოლ სხულუხიამ. ცნობილმა საბჭოთა მწერალმა პ. პავლენკომ გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ მოათავსა საფრონტო ნარკვევი გ. სხულუხიას მამაცობისა და გმირული სიკვდილის შესახებ. მწერალი წერს: „... მცხოვრებლები, რომლებმაც ნახეს გრიგოლ სხულუხიას საშინელი სიკვდილი, ამბობენ, როგორც კი ცეცხლი სახეზე მოედო, მან თითქოს ძილში დაიყვირა და მოტეხილ ხელებზე დაყრდნობით ცეცხლიდან გამოსვლა მოინდომაო. და მაშინ მათ გაიგონეს გრიგოლ სხულუხიას უკანასკნელი, ხანგრძლივი და თანდათანობით მზარდი შეძახილი, რომელიც სიმღერას წააგავდა.

შესაძლოა საქართველოს შესძახა: „სამშობლოვ, იმღერე ახლა ჩემზე!“; ან იქნებ ზუგდიდს გამოეთხოვა და მოხუც დედას მიმართა: „დედა, იმღერე ახლა ჩემზე!“; ან, მოახლოებული ბრძოლის გუგუნი რომ ესმოდა, სახელის მოხვეჭისაკენ მოუწოდა თავის თანამებრძოლებს, რომლებიც უკვე სოფელში იჭრებოდნენ: „ძმებო, ვკვდები თქვენს თვალწინ!“

...ეს იყო და ეს, არ დაუკვნესია, სხეული არ ათრთოლებია ისე მოკვდა, თითქოს ცის ტატნობიდან ფრენის დროს მოკლული ფრინველი ჩამოვარდნილიყოს. სოფელი დაღამებისას აიღეს. კოცონი კვლავ გიზგიზებდა და სხულუხიას სხეულზე, ბეჭებს შუა, შავწითლად მოჩანდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი“. (ვარსკვლავი სხულუხიას ფაშისტებმა ამოაჭრეს ტანზე).

„...სხეული ბრძოლაში დამწვარ დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



შას ჰკავდა, — განაგრძობს მწერალი. — მხოლოდ ბაირაღის ემბლემა — ცეცხლგამძლე ფოლადის ვარსკვლავი გადაურჩა ცეცხლს“.

კომკავშირელებმა ფანტასტიკური, ომების ისტორიაში გაუგონარი გმირობა ჩაიდინეს სტალინგრადის დაცვის მძიმე დღეებში. სტალინგრადის 7600-ზე მეტი მებრძოლი კომკავშირელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. გმირულად იბრძოდნენ ქართველი კომკავშირელები: გ. გაბუნაძე, დ. გვრიტიშვილი, ნ. ინაშვილი, ფიცხელაური, ჩიტაიშვილი, ტ. ქარუმიძე, გ. ალექსანდრია, შ. ყავრიშვილი, ს. ხოფერია და სხვა ათასობით ქართველი კომკავშირელი და ახალგაზრდა. ბევრმა მათგანმა მამაცობისა და გმირობის იშვიათი ნიმუშები გვიჩვენა: საკუთარი სხეულით გზა გადაუღობა გერმანულ რკინის ურჩხულებს და სიცოცხლის ფასად დაიცვა სტალინგრადი.

კომუნისტური პარტიისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის დადასტურება იყო მეომარ ქართველ კომკავშირელთა მისწრაფება — შესულიყვნენ პარტიის რიგებში. მეომართა განცხადებები მოკლე და სხარტი, მაგრამ ბევრისმთქმელი იყო. აი, რას წერდა თავის განცხადებაში 392-ე ქართული მსროლელთა დივიზიის სერჟანტი გიორგი თ ე თ ვ ა ძ ე: „ვარ ლენინური კომკავშირის წევრი. საბრძოლო დავალებებს პირნათლად ვასრულებ... ამასწინანდელ ბრძოლაში ხუთი ფაშისტი მოვკალი. მტერს ორი ტყვიამფრქვევი და ორი რევოლვერი წავართვი. მინდა მომავალ ბრძოლებში კომუნისტად წავიდე. გთხოვთ მიმიღოთ საკავშირო კპ (ბ) წევრობის კანდიდატად“.

სამამულო ომის წლებში 2 600 ათასზე მეტი კომკავშირელი პარტიის წევრი გახდა.

ქართველი კომკავშირელები სამამულო ომის თითქმის ყველა ფრონტზე, საბჭოთა ჯარის ყველა სახეობაში იბრძოდნენ და ყველგან სარდლობის ქება და დიდება ხვდათ წილად. ისინი გმირულად იბრძოდნენ მოსკოვის მისადგომებთან, კურსკის რკალზე, ტამანის ნახევარკუნძულის, ჩრდილოეთ კავკასიის და ყუბანის ფრონტებზე, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ავსტრიის, ჩრდილოეთ ნორვეგიის ტერიტორიებზე. თვით ფაშისტური გერმანიის რაიხსტაგზე წითელი დროშა რუსმა კომკავშირელმა მიხეილ ეგოროვმა და კომკავშირის აღზრდილმა ქართველმა მელიტონ ქანთარიამ აღმართეს.

მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა მიწაწყალზე პარტიზანული და არალეგალური მოძრაობა მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1780 კომკავშირული არალეგალური ჯგუფი მოქმედებდა, პარტიზანული რაზმების კომკავშირული ორგანიზაციები, კომკავშირის იატაკქვეშა რაიკომები და ჯგუფები პარტიული კომიტეტების ერთგულ თანაშემწეებს, ახალგაზრდობის ძალების მობილიზაციის მებრძოლ შტაბებს წარმოადგენდნენ. კომკავშირელები მონაწილეობდნენ იარაღისა და ტყვია-წამლის შოვნაში, მტრის ზურგში ავრცელებდნენ დიდი მიწიდან მიტანილ გაზეთებს, ჟურნალებს, ბროშურებს. ახალგაზრდა აგიტატორები ფარულად შედიოდნენ ფაშისტების მიერ მკაცრად დაცულ ქალაქებსა და სოფლებში, და მოსახლეობას უნერგავდნენ ფაშიზმზე გამარჯვების მტკიცე რწმენას.

სამშობლოსათვის უანგარო სამსახურის ნიმუშია კრასნოდონის ახალგაზრდობის გმირული ბრძოლა. ამ ქალაქის გუშინდელმა მოსწავლეებმა მტერთან საბრძოლველად შექმნეს იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაცია „ახალგაზრდა გვარდია“, რომელიც აქტიურ აგიტაციას ეწეოდა მოსახლეობას შორის, ავრცელებდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს და თვითნაბეჭდ ფურცლებს, სწვავდა ფაშისტების მიერ დატაცებულ პურს, აწყობდა საბჭოთა არმიის ტყვე მებრძოლთა გაქცევებს, ფიზიკურად სპობდა ოკუპანტებს და სამშობლოს მოღალატეებს.

სამამულო ომის პერიოდში პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის ასობით და ათასობით წარმომადგენელმა, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართველ კომკავშირელებსა და კომკავშირის აღზრდილებს: დ. ბაქრაძეს, ი. რეხვიაშვილს, გ. დვალაძეს, შ. გოგობერიძეს, მ. ქავთარაძეს, ი. ყენიას, დ. ჩირაძეს, ჯ. კუკულაძეს, დ. იოსელიანს, ვ. თალაკვაძეს, დ. თავაძეს, პ. გვალიას, ს. ჩაჩხიანს, ზ. რუხაძესა და სხვებს.

საბჭოთა არმიამ ბრწყინვალე გამარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვებები მოიპოვა ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით. ფრონტზე წასული მუშების ადგილას დაზგებთან დგებოდა ახალგაზრდობა — მოზარდები, ქალიშვილები, ქალები. ბევრ საწარმოში ისინი მუშების 60-70 პროცენტს შეადგენდნენ. ისინი მუშაობდნენ შეუსვენებლივ, ხშირად დღე და ღამეც კი ერთმანეთში ერეოდათ... ახალი კადრების სწავლების ძნელი ამოცანის გადაწყვეტაში კომკავშირი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ომის დაწყებისთანავე ახალგაზრდა, მუშა კომკავშირელებმა დიდი, პატრიოტული მოძრაობა გააჩაღეს. „შეასრულე ორი ნორმა: ერთი შენი, მეორე კი — ფრონტზე წასული ამხანაგის მაგიერ!“ — ასეთი იყო მოწოდება.

ორნორმოსანთა დამკვრელობა და სტახანოვური მოძრაობა საქართველოში ფართოდ გავრცელდა. 1944 წლის ბოლოს რესპუბლიკაში 925 ახალგაზრდული ბრიგადა იყო. მარტო 1944 წლის ორი თვის განმავლობაში საქართველოს მუშა ახალგაზრდობამ ფრონტს გეგმის გადამეტებით 15 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა.

დიდი ამოცანების გადაჭრა მოუხდათ სოფლის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს. საკოლმეურნეო წარმოების საუკეთესო კადრები ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე წავიდნენ; სოფლად ომის მთელი სიმძიმე უმთავრესად ქალებსა და ახალგაზრდობას დააწვა. ომმა მათგან მარტო მემინდვრეობის, მეცხოველეობის სწრაფად დაუფლება და მანქანების მართვის შესწავლა კი არ მოითხოვა, არამედ უფრო რთული ხელოვნების ათვისებაც — საზოგადოებრივი, კოლექტიური მეურნეობის გაძღოლის უნარი. ომის წლებში სოფლის მეურნეობის 2 მილიონამდე მექანიზატორი მომზადდა, რომელთა 70 პროცენტი ახალგაზრდობა იყო. კომკავშირმა უხვი მოსავლისათვის მებრძოლი რგოლები, სალეწი და სატრანსპორტო ბრიგადები ჩამოაყალიბა. 1945 წელს, უხვი მოსავლის მისაღებად, 100 ათასამდე ახალგაზრდული რგოლი ეჯიბრებოდა ერთმანეთს; ახალგაზრდულ სატრაქტორო ბრიგადებში 280 ათასი ტრაქტორისტი მუშაობდა.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა 1945 წელს 20 მილიონამდე შრომადღე გამოიმუშავეს. საკოლმეურნეო მინდვრებზე 1149 კომკავშირულ-ახალგაზრდული სარემონტო ბრიგადა მუშაობდა, რომლებშიც 6745 ახალგაზრდა იყო გაერთიანებული. უხვი მოსავლის მიმღებ 2513 ახალგაზრდულ ბრიგადასა და რგოლში 33 790 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა იყო გაერთიანებული.

კომკავშირმა დიდი მუშაობა გასწია თავდაცვის ფონდში სახსრების შესაგროვებლად. 1943 წლისათვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ თავდაცვის ფონდში ერთ მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანეს. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შექმნეს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა დახმარების ფონდი, რომლისთვისაც 300 მილიონ მანეთამდე შეგროვდა.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ საკუთარი სახელობის სატანკო კოლონა, საბრძოლო-სატორპედო კატარღები და ავიაესკადრილია აეგოთ. საქართველოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ავიაესკადრილია „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად 11 058 290 მანეთი შეაგროვეს, რისთვისაც უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა მათ მადლობა გამოუცხადა.

ომის წლებში კომკავშირი რიცხობრივად გაიზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. ამ წლებში 10 მილიონზე მეტი მოწინავე ახალგაზრდა შევიდა კომკავშირის რიგებში.

ლენინურმა კომკავშირმა გმირული შრომითა და ბრძოლით დაამტკიცა, რომ იგი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეა, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წინამძღოლი და ხელმძღვანელია.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული უდიდესი მუშაობისათვის 1945 წლის 14 ივნისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ამრიგად, ლენინური კომკავშირი სამგზის ორდენოსანი გახდა.

**შოთა თეთვაძე,**
*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.*

მხატვარი **დ. ზარაფიშვილი**

სამამულო ომის წლებში, საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის, საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით 3,5 მილიონი კომკავშირელი დაჯილდოვდა.

საბჭოთა კავშირის 11 ათასი გმირიდან 7 ათასი კომკავშირელი და კომკავშირის აღზრდილია.

გმირის წოდება მეორედ მიენიჭა 60 კომკავშირელს.

კომკავშირის აღზრდილები — ალექსანდრე პოკრიშკინი და ივანე კოჟედუბი სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ.

50 ათასი ახალგაზრდა პარტიზანი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ომის წლებში 40 ახალგაზრდა ნოვატორს სოციალისტური შრომის გმირის, ხოლო ბევრ წარჩინებულ ახალგაზრდას — სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა ბელორუსიის, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის კომკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ჩეკურიშვილი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

# ბუმბერაზი

მოთხრობა

1.

კარგად არც კი გათენებულიყო, წიგნები რომ ავიღე და სკოლისკენ გავწიე. სწავლა კაი ორი კვირის დაწყებული იყო, მე კი იმ დილით პირველად მივდიოდი სკოლაში. მივდიოდი, მაგრამ ვაი იმ წასვლას! — ფეხები უკან მრჩებოდა. მრცხვენოდა: ამხელა ბიჭი მეექვსე კლასელ ბალღებს უნდა მივჯდომოდი გვერდში. არადა, სხვა რა გზა იყო! — ჩემს ტოლებთან, მეათე კლასში, არავინ დამსვამდა.

ამას ერთი უხერხულობაც ემატებოდა: ისე მაღალი და მხარბეჭიანი ვიყავი, იმ სკოლაში ალბათ მეათეკლასელებიც არ იქნებოდნენ ჩემხელა ბიჭები. ის კი არა, ყბებსა და საულვაშეზე ისე მომძალებოდა ღინღლი, მალე წვერის პარსვაც უნდა დამეწყო. ჰოდა, მიდი ამხელა კაცი და მეექვსეკლასელებს მიუჯექი გვერდით! როგორია?!

დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. ერთხანს ისიც კი გადავწყვიტე, სკოლაში ფეხი არ მიმედგა, ვყოფილიყავი შინ და კოლმეურნეობის მინდვრებში მემუშავა, მაგრამ ბებომ და პაპამ ლამის იტირეს. იმათ წყენინებას კი, კლდე რომ ვანგრიო, ის მირჩევნია. ხათრი ვერ გავუტეხე და იმ დილას პირველად გავბედე სკოლაში წასვლა.

გაჩქარებით მივდიოდი სკოლისკენ და, ვატყობდი, გზად შემხვედრებს უკვირდათ, ასე უთენია რატომ გავრბოდი. იმ სოფელში არავინ არ მიცნობდა, არც მე ვიცნობდი ვისმე. ჩვენ სულ სამი დღის ჩამოსახლებულები ვიყავით მთიდან.

სკოლაში მხოლოდ დამლაგებლებს მიესწროთ ჩემთვის. მე რომ დამინახეს, მათაც გაუკვირდათ, ასე ადრიანად რამ მოიყვანაო. თან ვერ მიცნეს და ეჭვით დამიწყეს ყურება. რას მიცნობდნენ, ჩვენ პირველად ვხედავდით ერთმანეთს.

დერეფანს გავუყევი. ვიპოვნე მეექვსე კლასი. შევედი. მინდოდა სულ ბოლო მერხზე დავმჯდარიყავი, მაგრამ ვერ მოვთავსდი. ავდექი და მეათე კლასიდან გამოვიტანე მერხი, ყველაზე უკან დავდგი და დავჯექი.

როდის-როდის ბავშვებმაც იწყეს მოსვლა. დერეფანი ხმაურით აივსო.

მე ასეთი ხმაური კაი ხუთი წელი აღარ მომესმინა და ახლა გული რაღაცნაირად ამიჩქროლა.

მეექვსე კლასში შემოსული თითისტოლა ბალღები დამინახავდნენ თუ არა, მაშინვე გარეთ გარბოდნენ, ეგონათ კლასი შეგვეშალაო, მაგრამ მერე ისევ შემოდიოდნენ, გაკვირვებით მიყურებდნენ და თავიანთ ადგილებზე ჩუმად სხდებოდნენ. მე თავი ჩავღუნე და რომელიღაც სახელმძღვანელოს ფურცვლა დავუწყე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი თანაკლასელები შეფარვით მიყურებდნენ. ეტყობოდათ, რომ ძალიან აინტერესებდათ, მართლა მეექვსე კლასელი ვიყავი, თუ ისე, დროს მოსაკლავად ვიჯექი ზარის დარეკვამდე.

ბოლოსდაბოლოს, ზარიც დაირეკა. მე, რა თქმა უნდა, კლასიდან ფეხი არ გამიდგამს. ბალღები მასწავლებლის შემოსვლამდე ერთმანეთს არ ეძიძგილავებოდნენ, არ ცელქობდნენ. ვგრძნობდი, რომ ამის მიზეზი მე ვიყავი, ჩემი ერიდებოდათ.

პირველ გაკვეთილზე მასწავლებელი ქალი შემოვიდა. ფეხზე რომ ავდექი, იმხელაზე ავიზლაზნე, უმალვე თვალში მოვხვდი და გაოცებით შემომხედა. ისე შემრცხვა, ტანში ცხელმა ჟრუანტელმა დამიარა. კინაღამ წიგნებს დავავლე ხელი და გარეთ გავვარდი. თავჩაღუნული ჩემს შავ მერხს დავშტერებოდი, ვიდრე არა თქვა, დასხედითო.

ასე დავიტანჯე მთელი დღე. თვითეული მასწავლებლის შემოსვლაზე ასეთ დღეში ვიყავი. ისინი მეტ-ნაკლებად ამჟღავნებდნენ თავიანთ გაკვირვებას. ისტორიის მასწავლებელმა კი შემოსვლისთანავე მკითხა:

— თქვენ აქ რატომ ხართ?

— მაშ, სად წავიდე, მასწავლებელო, მეექვსეკლასელი ვარ, — რაღაცნაირი უნდილი ხმით ჩავილაპარაკე.

— ჰოო, დაჯექი, დაჯექი! — ისე თქვა, თითქოს ძალიან მიმხვდარიყო თექვსმეტი წლის ბიჭი რატომ ვიჯექი მეექვსე კლასში.

ისტორიის მასწავლებელი ჭაღარა, დაბალი და გამხდარი კაცი იყო. სათვალე ეკეთა, მაგრამ, ეტყობოდა, კარგად მაინც ვერ ხედავდა. სიის ამოკითხვა უჭირდა. მე რომ წამოვდექი, ვარ-მეთქი, ისე შემომხედა, თითქოს მეორედ აღმოვეჩინე.

მეგონა მალე გაივლიდა უხერხულობა და ერთმანეთს შევეჩვეოდით, თანაკლასელები პატივისცემით დამიწყებდნენ ყურებას: მე ხომ მათზე ოთხი წლით დიდი ვიყავი! თანაც...

თუმცა ამაზე იმ სოფელში ჯერ არავინ არაფერი იცოდა.

მაგრამ ჩემი ასაკი და დიდი ტანი მათ მხოლოდ აცინებდა. სკოლაში უცებ გავრცელდა ხმა, მეექვსე კლასში ასეთი და ასეთი ბიჭი ზისო. ყოველ დასვენებაზე შემოდიოდნენ სხვაკლასელები და ჩემს დანახვაზე მოურიდებლად იკრიჭებოდნენ. ჩემი გარეგნობა არაფერი სასაცილო არ იყო, მაგრამ მათ, ეტყობა, გონებაჩლუნგი ვეგონე და იმიტომაც იცინოდნენ ასე. მეტი რა გზა იყო, უსიტყვოდ ვიტანდი მათ უტიფრობას.

მე მაინც იმედი მქონდა რომ ჩემი ამბავი ადრე თუ გვიან ჩვეულებრივი გახდებოდა, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ერთ დღეს ფიზკულტურის მასწავლებელმა სპორტულ მოედანზე გაგვიყვანა. მწკრივში რომ ჩავდექი, დიდსა თუ პატარას სიცილი აუტყდა. კედელს ამოფარებული ბიჭები კი ხმამაღლა იძახდნენ:

— ვირი ხბორებში! ვირი ხბორებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხ, ის ბიჭები ხელში რომ ჩამეგდო, არ ვიცი რას ვუზამდი!.. მაგრამ, თავი უფრო არ გავიმასხარაო-მეთქი, არ გამოვკიდებივარ, ბოლმა გულში ჩავიკალი.

— გედეხაურო, კლასში წადი! — მითხრა მასწავლებელმა, რაკი ის აბეზარი ბიჭები ვერ გააჩუმა. თავჩაღუნული გამოვედი მწკრივიდან და კლასში შევედი. აქ გამჩერებელს რა ვუთხარი-მეთქი, — გავიფიქრე, წიგნებს ხელი დავავლე და შინ წავედი.

ბებომ და პაპამ ადრე მისვლის მიზეზი მკითხეს.

ვუამბე.

დაღონდნენ.

მე კი გადაწყვეტით ვთქვი, სკოლაში ფეხს აღარ მივადგამ-მეთქი.

პაპას იმ წუთში არაფერი უთქვამს, ადგა და ეზოში გავიდა. ვეღარც ბებომ თქვა რამე. მანაც თავისი საქმე განაგრძო. შევნიშნე, როგორ ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

შემეცოდა.

ისე ძალიან შემეცოდა, კინაღამ მივვარდი. — ბებო. ოღონდ ნუ იტირებ და, თუ გინდა პირველ კლასში დავჯდები-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.



საღამოს, პაპა გვერდით მომიჯდა, ხელი გადამხვია და მითხრა:

— შვილო, გოგი, მე ერთ რამეს გირჩევ, თუ იმანაც არ უშველა საქმეს, მაშინ ადექი და მართლაც დაანებე თავი სკოლაში სიარულს!

— რას მირჩევ, რა გავაკეთო? იმდენ ბალღს მე ხომ ვერ ვასწავლი ჭკუას.

— ჭკუას თვითონ ისწავლიან და ენასაც ჩაიგდებენ მუცელში.

— ვცემო?

— არა, ეგ რა საკადრისია!

— მაშ რა ვქნა?

— დილით გეტყვი. ახლა კი გაკვეთილები ისწავლე.

დილით მე კვლავ პირველი მივედი სკოლაში. დერეფანში რომ გავიარე, დამლაგებლებმა გაოცებით გამომაყოლეს მზერა. მაგრამ ეს უკვე მოულოდნელი აღარ ყოფილა ჩემთვის. ვიცოდი, იმ დღეს ვინც დამინახავდა, ყველა გაკვირვებით დამიწყებდა ყურებას.

შევედი კლასში, მერხზე დავჯექი, ალგებრის რვეული ამოვიღე და შინ გამოყვანილი მაგალითი ერთხელ კიდევ გადავათვალიერე. ეს იყო ჩემი ძველი მტერი და მოყვარე: ასმეჩვიდმეტე პარაგრაფის მეხუთე მაგალითი უარყოფითი რიცხვების გამოკლებაზე. ოდესღაც ამ მაგალითმა ისე დამტანჯა, არ მეგონა თუ მე მას ოდესმე რამეს გავუგებდი. გუშინ, მასწავლებელმა უარყოფითი რიცხვების გამოკლება რომ აგვიხსნა, თითქოს თვალები ამეხილაო, ისე მივხვდი, რა მიშლიდა ხელს, რატომ ვერ გავუგე დამოუკიდებლად. დიახ, გუშინ დავჯექი და მარტოკამ ამოვხსენი ჩემი გამტანჯველი. უარყოფით რიცხვებს უარყოფითი რიცხვი გამოვაკელი და პასუხად დადებითი რიცხვი მივიღე. მაშინვე პაპა თინიბექს ვახარე:

— პაპა აი, ის მაგალითი ამოვხსენი, გახსოვს, სვიანაში რომ ვეწვალებოდი?

— ჰოო? მაშ აჯობე, ჰა! — გაუხარდა პაპას, — ხომ გეუბნებოდი, შვილო, დღეს თუ არა, ხვალ მაგასაც მოერევი-მეთქი.

დღეს ის მაგალითი უკვე დამარცხებული, საშინაო დავალების რვეულში ბეჭებზე გაშხლართულიყო და მაგონდებოდა სვიანაში მიტოვებული სახლის სხვენზე შეყრილი ხარის ბეჭის ძვლები, რომლებზეც ეს მაგალითი ეწერა ამოუხსნელი, ჩემს მიერ ნაწვალები, ნაბრძოლი, დაღლილი.

აი, ჩემმა თანაკლასელებმაც შემოაღეს საკლასო ოთახის კარი, შემომხედეს და ფხუკუნი აუტყდათ. მიყურებდნენ და სიცილს ვერ იკავებდნენ. მერე გარეთ გაცვივდნენ და სხვა კლასელებს აქეზებდნენ, ერთი ჩვენს კლასში შედით და გედეხაურს შეხედეთო. ისინიც იჭყიტებიან კარში და რას ხედავენ: ვზივარ ჩემს დიდ მერხზე, სამხედრო შარვალ-ხალათში გამოწყობილი, და მკერდზე მიბრჭყვიალებს მედალი „მამაცობისათვის“ ერთი ავტომატი არა მკიდია კისერზე, თორემ ისე ნამდვილ ჯარისკაცს ვგევარ!

ბავშვებს მეტიც არ უნდოდათ! შემოიჭყიტებოდნენ და მერე დერეფანში ხმამაღლა იცინოდნენ. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მე ის მწყინდა, რომ ნორმალური არავის ვეგონე.

დერეფნიდან ბავშვების ხმა მესმოდა: — შედით ნახეთ, გედეხაურს მამამისის ნაფრონტალი შარვალ-ხალათი ჩაუცვამს, მკერდზე მისი ჯილდო დაუკიდნია და ისე მოსულაო, (ომი ახალი დამთავრებული იყო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ტოლები — მეათეკლასელებიც კი მოვიდნენ ჩემს სანახავად.

ვინ მოსთვლის, რამდენი გულსატკენი ქილიკი მოვისმინე იმ დილით. მერე, როგორც იქნა, ზარი დაირეკა და გაკვეთილი დაიწყო.

პირველი გაკვეთილი ისტორია გვქონდა. მასწავლებელმა, შემოვიდა თუ არა, მაშინვე შემამჩნია. ჯერ შეჩერდა, რაღაცის თქმა დააპირა, მერე ეტყობა, გადაიფიქრა. მაგიდასთან მივიდა, სია ამოიკითხა, შემდეგ ადგა და მომიახლოვდა.

— გედეხაურო, რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტისა! — ცოტა არ იყოს მკაცრად გამომივიდა ნათქვამი.

— რომელ ფრონტზე იბრძოდი?

ეს უკვე აშკარა დაცინვა იყო.

ბავშვებს სიცილი წასკდათ და მე საშინლად წამომახურა ლოყებზე.

— მე არა, ფრონტზე მამაჩემი იბრძოდა!

— ასეც ვიცოდი.

— თქვენ რა იცოდით?! თქვენ ხომ მამაჩემს არ იცნობდით!

— მერე რა, ისე მივხვდი. მამაშენი კავკასიას იცავდა?

— არა, მამაჩემი უკრაინაში იბრძოდა.

— უკრაინაში?

— დიახ.

— როდის დაბრუნდა?

—არ დაბრუნებულა...

— არ დაბრუნებულა? — თანაგრძნობით ჩაილაპარაკა მასწავლებელმა. მერე, რატომღაც, ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს გარეთ იყურებოდა, ბოლოს ისევ მე მომიახლოვდა და მითხრა:

— გედეხაურო, იცი თუ არა, რომ, ვინც ჯილდოს ღირსი გახდება, ის ჯილდო მხოლოდ მის მკერდს უნდა ამშვენებდეს?

— დიახ, ვიცი!

— მერე? რატომ ჩაგიცვამს სხვისი ტანსაცმელი, რატომ გიკეთია სხვისი ჯილდო?

— მე სხვისი არაფერი არ მაცვია და არც მიკეთია.

— მაშ ეგ რა არის?!

— ტანსაცმელიც ჩემია და ჯილდოც!—აი, ამას ველოდი, ამის თქმა მინდოდა, და რაკი ვთქვი, შვება ვიგრძენი.

— ო, ეს საინტერესოა! — ჩაილაპარაკა მასწავლებელმა და ეჭვით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. (ალბათ არც იმას მოვეჩვენე დალაგებული ჭკუისა).

— მაშინ საბუთი გექნება, რომ ჯილდო შენ გეკუთვნის.

— დიახ, მაქვს! — ვუთხარი, ხალათის ჯიბიდან მოწმობა ამოვიღე და გავუწოდე.

მასწავლებელმა ჯერ სათვალის ზემოდან გადმომხედა, მერე მოწმობა გაშალა.

მე კლასს ამაყად გადავხედე და, უცებ, შემრცხვა ჩემი მედიდურობისა. აბა, როგორ შეიძლება თითისტოლა ბალღებთან თავის მოწონება!

ბავშვები გასუსული ისხდნენ და მასწავლებელს მისჩერებოდნენ.

— დიახ, აქ სწერია, რომ ეს მედალი ეკუთვნის გიორგი ლევანის ძე გედეხაურს! — ხმამაღლა, კლასის გასაგონად თქვა მასწავლებელმა და უფრო დაკვირვებით შემომხედა. მერე მოწმობა დამიბრუნა და მითხრა:

— დაბრძანდი!

თვითონ მაგიდასთან მივიდა, სკამზე დაჯდა, საკლასო ჟურნალი გაშალა, შიგ დიდხანს იყურებოდა, მერე ადგა და პირდაპირ ახალი გაკვეთილის ახსნა დაიწყო.

იმ დღეს ყველა მასწავლებლის გამოხედვასა და დალაპარაკებაში სითბოს ვგრძნობდი. მიკვირდა, მედლის თაობაზე რომ არავინ არაფერს მეკითხებოდა.

მერე, გაკვირვება წყენაში გადაიზარდა. დიახ, მწყინდა, რომ არავინ მეკითხებოდა რა ჩავიდინე ასეთი, ჯილდო რით დავიმსახურე. მე ხომ ფრონტზე არა ვყოფილვარ და არც შრომითი სიმამაცე გამომიჩენია! მიკვირდა, მასწავლებლები მაინც რატომ არაფერს მეკითხებოდნენ.

ბოლო გაკვეთილი რომ დამთავრდა, კლასის დამრიგებელი — ისტორიის მასწავლებელი შემოვიდა და მითხრა:

— გედეხაურო, ცოტახანს დარჩი, შენთან საქმე მაქვს.

ბავშვებმა ყური ცქვიტეს. მაგრამ მათ არა ჰქონდათ კლასში დარჩენის უფლება და ნელ-ნელა გაიკრიფნენ, ჩვენ მარტო დავრჩით.



— გოგი, დღეს განგებ არა გკითხე, რით დაიმსახურე ეგ ჯილდო. ახლა კი უნდა მიამბო.

— გიამბობთ, პატივცემულო მასწავლებელო, დასამალავი რა არის!

მერე მოკლედ, ორიოდე სიტყვით ვუამბე, მე და პაპა თინიბექმა ესა და ეს ჩავიდინეთ-მეთქი.

მასწავლებელი გაოცებული მისმენდა. მერე სულ მხარზე მირტყა ხელი: აბა, ბიჭი შენა ყოფილხარო!

— იცი რა, — მითხრა მან, — მოდი, ხვალ კლასში ეგ ამბავი დაწვრილებით მოჰყევი. ასე სჯობს. ყველაფერი კარგად გაიხსენე, მოიფიქრე და ხვალ გვიამბე.

— კარგი, მასწავლებელო, გავიხსენებ, — დავთანხმდი მე და დავემშვიდობე.

შინისაკენ მიმავალი გზაში სულ იმაზე ვფიქრობდი, რაც მეორე დღეს უნდა მომეთხრო. დასაწყისი მაშინვე ამეკვიატა: „ახლა ჩემი ტოლები მეათე კლასში სწავლობენ, მე კი მეექვე კლასში ვზივარ. იცით რატომ?..“ არ იქნა და არა, ეს ფრაზა თავიდან ვერ ამოვიგდე. სხვა დასაწყისი ვერც წარმომედგინა. მაგრამ მეორე დღეს, ისტორიის გაკვეთილზე, მთელი კლასი განაბული რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისმენდა, აკვიატებული ფრაზა არც გამხსენებია. რატომღაც, ამბავი ცოტა უფრო შორიდან დავიწყე.

2.

ჩემს სოფელს სვიანა ერქვა. არ ვიცი, იმიტომ, რომ იმ პატარა სოფელში ოდესღაც სვიანი, სვებედნიერი ხალხი ცხოვრობდა, თუ იმიტომ, რომ ბევრი სვია იცოდა; აი, ის სვია, ლუდის მოსახარშავად რომ იყენებენ ფშაველები და ხევსურები. მე მგონი, უფრო იმ ხვიარა მცენარის გამო დაარქვეს ეს სახელი, თორემ სვიანაში რომ ბედნიერ ხალხს ეცხოვროს ოდესმე, მე ეს არ გამიგონია.

ისე კი ლამაზი იყო პირმზითზე შეფენილი სვიანა. გარშემო უზარმაზარი ტევრი ისე ერტყა, როგორც პატარა კუნძულს — ზღვა. ზევით ცოტას რომ აივლიდით



ალპურ მდელოებზე ახვიდოდით, გვერდზე საკალმახე ხევი — სადათვია ჩაუდიოდა, ქვევით კი, ტყე-ტყე, საცალფეხო ბილიკზე, თხუთმეტი კილომეტრი უნდა გაგევლოთ, რომ უახლოეს სოფელში ჩასულიყავით.

სულ ათი კომლი ცხოვრობდა სვიანაში. მეათე კომლი ჩვენ ვიყავით, გედეხაურები: მე, დედა, მამა, პაპა თინიბექი, ბებო ქალიკმა და ჩვენი ერთგული ძაღლი ქორია.

დიდი, ლამაზი სახლებით თავს ვერავინ ვერ მოიწონებდა სვიანაში. ყველანი ერთნაირ ქოხებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამაზე არც წუხდა არავინ. არ წუხდნენ, რადგან მთელ სოფელს გადაწყვეტილი ჰქონდა, ერთდროულად აყრილიყო და ბარში დასახლებულიყო. მე და ჩემი ტოლები დიდი ამბით ველოდით იმ ბედნიერ დღეს, რადგან ვიცოდით, ბარში ვენახი კარგად ხარობდა და ყურძენი თავსაყრელად გვექნებოდა შემოდგომობით. სვიანაში კი მარტო კარტოფილი მოდიოდა კარგი. არც ხეხილი ხარობდა, პანტას ან მაჟალოს თუ წააწყდებოდა კაცი სადმე. ზაფხული კარგი იყო. ჯოლო, შალშავი, ხუნწი, დიყი და შუპყა ბლომად იცოდა. ეს იყო და ეს.

ხომ ასე პატარა იყო ჩვენი სვიანა, სკოლა მაინც გვქონდა. ერთი მასწავლებელი გვყავდა და ყველა კლასს ის ასწავლიდა.

მეოთხე კლასი რომ დავამთავრე, იმ წელს ყველაზე პირველი ჩვენი ოჯახი აპირებდა სვიანას დატოვებას და ბარში დასახლებას, მაგრამ ყველაზე ბოლოსაც კი ვერსად გავადგით ფეხი.

იმ გაზაფხულზე დიდი ავდრიანობა დაიჭირა.

მახსოვს, მთელი დღეები წვიმდა და პაპა თინიბექი წუხდა: ამ სატიალემ რაღა ახლა მოაღო ხახა, კარტოფილის თესვა გვიანდებაო.

— გამოდარებას რას ველოდებით, მარილი ხომ არა ვართ, დავდნეთ, წავიდეთ და წვიმაში დავთესოთ, — უთხრა პაპას მამაჩემმა.

— მეტი გზა არ არის! — თქვა პაპამ.

მეორე დღეს, დილაადრიან, ტომრები სათესლე კარტოფილით გაავსეს, წამოიკიდეს და წავიდნენ.

საღამომდე გადაუღებლად წვიმდა, საღამოს ცოტა გადაიკარა, მაგრამ ახლა ნისლი დაედო ტყეს.

— გაღმა, ეშმაკთყურესაკენ გავალ, საქონელს მოვრეკავ, — უთხრა დედაჩემმა ბებოს.

— დამიცადე, მეც წამოვალ, შვილო, — უთხრა ბებომ.

— მარტო წავალ, რა მიჭირს! — გაიღიმა დედაჩემმა. ის ლამაზი ღიმილი ახლაც ნათლად მიდგას თვალწინ.

— არა, შვილო, უკუღმური ამინდია. ან გზა არ დაგებნას, ან დათვმა არსად შეგაშინოს, რა ძალაა, წამოვალ.

ბებო ქალიკმამ კარს უკან აყუდებული ჯოხი აიღო და გაჰყვა.

მე საჩეხში ვიჯექი და პაპის ხანჯლით ხის კოვზებს ვაკოპიტებდი. წასვლის წინ დედა მოტრიალდა და მითხრა:

— გოგი აგერ, ცეცხლზე ქვაბი დგას, ხორცი იხარშება. ცეცხლი თუ გამოუნელდა, შეშა შეუმატე, ჩვენც მალე მოვალთ! — დაიხარა და მაკოცა.

ვინ იცის, დედას რამდენჯერ უკოცნია ჩემთვის, მე კი მხოლოდ ის კოცნა და დედის მაშინდელი ღიმილი მახსოვს. მალე მოვალო, დამაიმედა, მაგრამ...

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ბებოს კივილმა შესძრა პატარა სვიანა.

...გაღმა გასვლისას, ხევზე გადებულ საცალფეხო ხიდზე დედაჩემს ფეხი გასცურებოდა, გადავარდნილიყო, ლოდისთვის დაერტყა თავი. მოდიდებულ მღვრიე წყალს დაუთრევია უგონო ქალი და...

...სვიანას პატარა სასაფლაოზე, ყველაზე ბოლოს დედაჩემი დავასაფლავეთ.

სოფელს გასაფრენად გამზადებული ჩიტივით ჰქონდა ფრთები გაშლილ და ჩვენმა მწუხარებამ ველარ შეაჩერა; შემოდგომაზე სვიანელები აიყარნენ და ბარში ჩასახლდნენ.

ჯერ საფლავი არ გაციებულა, როგორ მივატოვებ, აქედან ფეხს როგორ მოვიცვლიო. — თქვა პაპა თინიბექმა და მარტო ჩვენ, ერთი კომლი დავრჩით სვიანაში. დედის წლისთავს რომ გადავიხდიდით, მერე ჩვენც დავტოვებდით სვიანას.

სექტემბერი მოახლოვდა.

წელიწადი რომ არ გამცდენოდა, მამამ პანკისში წამიყვანა ნათესავებთან. იქ დავამთავრე მეხუთე კლასი.

მაისის ბოლოს, სწავლა რომ დამთავრდა, მამას ველოდი, მაგრამ პაპამ მომაკითხა. მამა მთაში სათიბად დადის, შენს წასაყვანად მე იმიტომ წამოვედიო, მითხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა თინიბექი ორი დღე დარჩა პანკისში. აქ სახლი ხომ არავისა აქვს გასაყიდიო, — გაიკითხ-გამოიკითხა. ნათესავებმა ურჩიეს, — რაღა სხვისი აშენებული, ბარემ კოლმეურნეობას სთხოვეთ წევრად მიგიღონ, საკარმიდამოსაც გამოგიყოფთ და სახლის აშენებაშიც ხელს შეგიწყობთო.

პაპას ჭკუაში დაუჯდა. ცხელ გულზე მივიდა თავმჯდომარესთან. კი ბატონოო, უთქვამს თავმჯდომარეს. მერე ხელოსნები ნახა პაპამ, შეიპირა: შემოდგომაზე ჩამოვალ, ფულს ჩამოვიტან და სახლის მშენებლობა უნდა დავიწყოთო.

ჩამობრძანდი და ჩვენც აქა ვართ, უთხრეს ხელოსნებმა.

მერე შევსხედით ცხენებზე და სვიანასაკენ გავუდექით გზას.

გზად რამდენიმე სოფელი გავიარეთ. ყველგან შევუხვიეთ მაღაზიებში. მეექვსე კლასის წიგნები გვინდოდა გვეყიდნა. მარტო ალგებრისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოები ვიშოვნეთ. დანარჩენი ჯერ არ მიგვიღიაო, გვეუბნებოდნენ.

შინ რომ მივედით, ერთი წლის უნახავმა ბებომ ცრემლები ვერ შეიმაგრა და კინაღამ კოცნით დამახრჩო.

მეორე დღეს მე და ბებო სასაფლაოზე წავედით.

დედაჩემის საფლავზე უკვე ბალახი იყო ამოსული...

დედის წლისთავზე, სვიანადან წასული ცხრავე კომლი უკლებლად მოვიდა. პაპას არაფერი დაუშურებია შორით მოსულთა პატივსაცემად. აბა რა ბევრი ხალხი იქ იყო და, მაინც ხარი დაკლა! ყველა წესი დაუყენეს და მერე პაპაჩემის ტოლებმა სიმღერა წამოიწყეს. რა გვემღერება, მაგრამ წესია, დღეის შემდეგ ამ ოჯახში ლხინი და ბედნიერება უნდა დამკვიდრდესო.

მაგრამ არც იმის შემდეგ დატრიალებულა ჩვენს ოჯახში ბედნიერება და სიხარული. იმ ზაფხულს ომი დაიწყო და მამაჩემი ფრონტზე წაიყვანეს.

პაპამ პანკისში ხელოსნებს შეუთვალა: პირობას გადავდივარ, შვილი აქედან გავისტუმრე ომში და აქვე უნდა დავხვდეო.

ასე დავრჩით ქვეყანას მოწყვეტილ სვიანაში მე, ბებო, პაპა და ქორია.

ჩვენ საკმაოდ ბევრი საქონელი გვყავდა. სახლის აშენებას რომ ვფიქრობდით, პირუტყვი იმიტომ მოვამრავლეთ, პაპა მათ შემოდგომაზე უპირებდა გაყიდვას, მაგრამ ესეც გადაიფიქრა. ომია, ქვეყანას გაუჭირდება, პირუტყვი საიმედოა, ჩვენც გადაგვატანინებს გაჭირვებას და სხვებსაც გამოვადგებითო, ამბობდა.

მართალია, ბებო და პაპა თავს ყოჩაღად გრძნობდნენ, მაგრამ იმდენ საქონელს ერთი ჩემისთანა მწყემსი აუცილებლად სჭირდებოდა. პაპა ამის გულისთვის არ დამტოვებდა შინ, ქვეყანა რომ არეული არ ყოფილიყო.

— შვილო, ახლა ყველას თავისი თავი უჭირს, აბა ვის მიგაყენო კარზე? — მითხრა პაპამ, — რა ვუყოთ, დრომ ასე მოიტანა. ბალღი ხარ, ომი რომ დამთავრდება, სწავლას მერეც მოასწრებ. — დამაიმედა და მეც სხვა რა გზა მქონდა!

„მშვიდობით, სკოლავ!“ — გამოვეთხოვე გულში.

3.

პაპა თინიბექი მაღალი და ღონიერი კაცი იყო. ცოტა მკაცრი იერი ჰქონდა. რაც ჩვენი ოჯახის საქმე უკუღმა დატრიალდა, იმის შემდეგ უარესად დაიღრუბლა და გულჩახვეული გახდა. კაცი გაღიმებულს ვერ ნახავდა. ხანდახან ისევ მე თუ მომეფერებოდა და გამიღიმებდა.

პაპა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. რუსული კარგად იცოდა. ფხიზელი არა, მაგრამ ნასვამი კი ხშირად ჰყვებოდა, აქა და აქ ვიყავი, აქა და აქ ვიბრძოდი, პირველად იქ დავიჭერი, მეორედ — აქაო.

პაპას ჯარიდან რუსული შაშხანა ჰქონდა ჩამოტანილი. მეშჩანიკების და ქვეყნის დამქცევებს ამით ვებრძოდიო, ამბობდა, თოფი მეორეც იყო შინ — ძველებური, კავალერიის ბერდენკა. იგი პაპას მამაჩემისთვის უყიდნია. კაცს თუ იარაღი არა აქვს და მისი მოხმარება არ იცის, აბა ის რა კაციაო, იტყოდა ხოლმე.

თოფის სროლა და ხმარება მეც მასწავლა.

პაპას ძალიან უყვარდა ნადირობა, მაგრამ ტახებისა და დათვების მეტს არაფერს არ ხოცავდა. ხანდახან მგელს თუ სადმე გადაეყრებოდა. ტყვიას არც იმათთვის იშურებდა.

ერთხელ მეზობლებმა ჰკითხეს:

— თინიბექ, კაცო, ამ ტყეში შვლები თხებივით ფარა-ფარა დადიან, შენ კი ამ უწმინდური დათვების მეტს ვერაფერსა ჰკლავ! რა გემართება?

— შე კაი ადამიანო, შველს თოფს როგორ ვესვრი, განა ურჯულო ვარ! ხორცი თუ მინდა, საქონლის მეტი რა მყავს, ავდგები და დავკლავ, — უკმეხად უპასუხა პაპამ.

პაპა თინიბექი მუხლმაგარი კაცი იყო. თან ისეთი ბუხუნა ხმა ჰქონდა, ის რომ დამიძახებდა, მთელ ტყეს ექოდ გადაუვლიდა ხოლმე მისი ომახიანი შეძახილი.

ბებო ქალიკმა კი წყნარი ქალი იყო, სათნო, მოყვარული. სულ „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“ ამოსდიოდა პირიდან. იშვიათად მოუვიდოდა გული. თუ გაჯავრდებოდა, ისევ და ისევ ქორია იყო ამის მიზეზი, ბებო და ჩვენი ქორია პირიპირს ვერ მოდიოდნენ.

ერთხელ ბებომ ის იყო ხის გობზე ბლომად კარაქი ამოიღო, რომ მეზობლის ქალმაც დაუძახა; ბებომ კარაქიანი გობი სამფეხაზე დადგა და მეზობელს გახედა. იქიდან რომ მოტრიალდა, გობზე ერთი გრამი კარაქიც აღარ დახვედრია.

— ღმერთო, შენ მიშველე! რა იქნა, სად გაქრა იმდენი კარაქი?! — იძახდა გაკვირვებული ბებო და აქეთიქით იყურებოდა. მერე სახლის წინ დაწოლილ ქორიას მოჰკრა თვალი. ძაღლი ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ტუჩებს სიამოვნებით ილოკავდა.

— ქორიავ, კარაქი შენ შესჭამე? — ჰკითხა ბებომ.

ძაღლმა კუდი გააქიცინა, — არაო.

— როგორ თუ არა, აბა ვინ შეჭამა! აგრემც შენ შეგჭამა მშიერმა მგელმა, შე მუცელგასახეთქო! — ბებომ ასტამს წამოავლო ხელი და გამოეკიდა. ქორია მიხვდა, რომ კარგი არაფერი ელოდა და ეშმაკთყურესკენ, ძროხებთან გაიქცა.

ბებო ქალიკმა მთელი დღე ქორიას სწყევლიდა, თან უკვირდა, იმ ჩემი ცოდვით სავსეს ერთი ფუთი კარაქი რამ შეაჭამაო! იმედი ჰქონდა, იმდენი ცხიმი კარგს არ დააყრიდა ძაღლს. პაპას კი ამაზე ეღიმებოდა, — ჰო, საწყალს უთუოდ გული დაუსუსტდებაო.

ბებო მორწმუნე ქალი იყო. ჩვენი სოფლის ხატთან, წმინდა გიორგის ნიშთან, ყოველ შაბათს საღამოს ანთებდა სანთელს და მე და მამაჩემს გვავედრებდა ღმერთს. ხანდახან მარხვასაც ინახავდა. პაპას ასეთი რაღაცეები სულაც არ სწამდა და ამ ამბავზე მხოლოდ ეცინებოდა. ხშირად ეტყოდა ბებოს:



— შენ, ჩემო ქალბატონო, სულს გაუფრთხილდი, მე კი, როგორც ცოდვილი, ჩემს კუჭს გავუფრთხილდები. შენ ცარიელი ხმიადი მიირთვი, მე და გოგია კი ხინკალს დავახვევთ და იმას ჩავცეცხლავთ.

და, მე და პაპა შევუდგებოდით ხინკლის დახვევას.

ბებო ჯანმრთელი და ღონიერი ქალი იყო. ხანდახან მე და პაპას თივის ჩამოტანაშიც კი გვშველოდა.

ერთი ჩვეულება ჰქონდა; სახლს თუ გასცილდებოდა, შინ მობრუნებული აუცილებლად შეშის ნალეწს მოიყოლებდა.

4.

გაზაფხულობით ლამაზი სანახავი იყო სვიანა.

ტყე რომ გაიჩირთებოდა, ყვავილები რომ გაიშლებოდა, ჩიტები რომ გალობას დაიწყებდნენ, სვიანაზე ლამაზი მხარე მეორე არ მეგულებოდა.

განსაკუთრებით წეროების გადაფრენა მიყვარდა. მათი იდუმალებით სავსე, კვნესის მსგავსი ძახილი ყოველთვის გულში მწვდებოდა და მაშინვე რაღაც მორეულსა და შეუცნობელზე ვიწყებდი ოცნებას.

მაგრამ, რაც ჩვენი მეზობლები აიყარნენ, ყველაფერმა დაკარგა თავისი ელფერი.

— ძნელია უმეზობლოდ ცხოვრება, — ხშირად იტყოდა პაპა, — თუ შენი არა გაქვს, ხელს ვერავინ გაგიმართავს, თუ შენ არ შეგიძლია, სხვა ვერ დაგეხმარება. ოო, უმეზობლობა ძალიან ძნელია, მაგრამ, რას იზამ, ყველაფერი უნდა შევძლოთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

ცხრა კომლს რაც სახნავ-სათესი დარჩა, შეგვეძლო ახლა ჩვენ მოგვეხნა და მოგვეხმარა, თუკი მოვერეოდით.

იმ გაზაფხულზე მე და პაპამ შევაბით გუთანი. მე მეხრე ვიყავი, პაპა — გუთნისდედა. უკაცურ სოფელში მაინც ვამღერეთ ღიღლიტა. ერთ კვირაზე მეტ ხანს ვხნავდით. მერე პაპამ ცალკე კოდში გადანახული თესლი ამოიღო და თესვა დაიწყო. პატარა აბგა ამკიდა და მეც მასწავლა, — აი, ასე, ხელწალმა უნდა სთესოო. ძალიან მალე ვისწავლე და პაპას გაუხარდა. მხვნელ-მთესველი კაცი ყოველთვის დალოცვილი და დაფასებულიაო, მეუბნებოდა.

შუადღისას, როცა ნაჭნავს მზე დააჭერდა, მიწას ოხშივარი ასდიოდა და იქაურობა ახალხნულის სურნელებით ივსებოდა.

— აი, შვილო, შეხედე, დედამიწა სუნთქავს, სიცოცხლის ძალა ფეთქავს. ახლა რომ თესლი ხელუკუღმა გადააგდო, ყანა მაინც ზღვად აბიბინდება.

მე და პაპამ კარგა ბლომად მოვხანით. ნაწილზე გაზაფხულის ხორბალი დავთესეთ, ნაწილზე — კარტოფილი. კარტოფილი უფრო მეზობლის ნაბოსტნარებში დავთესეთ.

— გვეყოფა, შვილო, მეტის მოვლა-პატრონობას ვეღარ შევძლებთ, — თქვა პაპამ და გუთანი საჩეხში შევათრიეთ, ფარცხი კი ისევ ბოსლის გვერდზე ავაყუდეთ.

ამ გაწამაწიაში ისე გაგვეპარა გაზაფხული, ვერც კი შევამჩნიეთ. ტყეები მწვანედ იყო აქოჩრილი, მთები — ბალახით აღალანებული.

ბებომ დაიჩივლა, — რაც ფოთოლ-ბალახი ამობიბინდა, ფურებს რძე მოემატათ და ყველ-ერბოს კეთებას ვეღარ ავუდივართო.

ყველ-კარაქს აევსო კასრები და მოკალული სპილენძის ქვაბები.

— შენ მაგის დარდი გაქვს? ხვალვე მივცემ გზას! — დაამშვიდა პაპამ და იმ დღესვე ერბოდ გადაადნეს ქარვასავით ყვითელი კარაქი.

მეორე დილით ცხენები საძოვარზე აღარ გაუშვა პაპამ. შევკაზმეთ, ერბოთი სავსე ტაგნები და ყველის გუდები ავკიდეთ. მე და პაპაც შევსხედით და ბარის გზას დავადექით.

— ნავთისა და მარილის მოტანა არ დაგავიწყდეთ! — დაგვადევნა ბებომ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნათელა ალადაშვილი**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ირაკლი ოჩიაური,
ქორწინების სახლი.
ჭედური რელიეფი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქანდაკების სხვადასხვა დარგი განვითარდა. 1922 წლის მაისში თბილისში საფუძველი ჩაეყარა სამხატვრო აკადემიას, რომლის შემადგენლობაში თავიდანვე შევიდა ქანდაკების ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე, მისი დაარსების დღიდან, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა იაკობ ნიკოლაძე. იაკობ ნიკოლაძე ითვლება ახალი ქართული ქანდაკების ფუძემდებლად. ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ი. ნიკოლაძეს ნიკოლოზ კანდელაკიც ამოუდგა მხარში.

მალე შემოქმედებითს ასპარეზზე გამოვიდნენ მათი მოწაფეები — თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ მოქანდაკეთა პირველი თაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ქანდაკების შექმნაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ სახვითი ხელოვნების წინაშე ახალი პრობლემები დასახა: რევოლუციური იდეების მხატვრული ხორცშესხმა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხის ასახვა, საბჭოთა ადამიანების სახეთა შექმნა. — აი, ეს ამოცანები იდგა მოქანდაკეთა წინაშე. მათი გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1918 წელს ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებულ „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმას, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკაში; იმ პერიოდში, რევოლუციის გმირების, გამოჩენილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, გამოცხადდა კონკურსები ძეგლების შესაქმნელად.

მართალია, ამ პროექტების მხოლოდ ნაწილი განხორციელდა, მაგრამ მათზე მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მოქანდაკეთა ძალების მობილიზაციას. 20-იან წლებში ჩატარდა კონკურსები ძეგლებისათვის — „თავისუფალი საქართველო“, „პარიზის კომუნა“, აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერის კამოს ძეგლის პროექტზე და სხვ. ამავე წლებში თბილისში დაიდგა ქართველი მწერლების ა. წერეთლისა (ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში) და ე. ნინოშვილის (კომუნარების სახ. ბაღში) ბიუსტები, რომლებიც ი. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ რევოლუციამდე შექმნა. 1924 წელს ლენინის ძეგლისათვის ჩატარებულ კონკურსში პირველი პრემია მიენიჭა ი. ნიკოლაძეს, ხოლო მეორე — მოქანდაკე გიორგი სესიაშვილს. დამახასიათებელია, რომ ორივე პროექტში ალეგორიული ფიგურები იყო გამოყენებული. გ. სესიაშვილის პროექტში, ლენინის ფიგურის გარდა, წარმოდგენილი იყო გამარჯვების სიმბოლური განსახიერება: ქალს ხელში, საყვირი უჭირავს და უხმობს მთელ სამყაროს. საერთოდ, პირველ ხანებში საბჭოთა მონუმენტურ ქანდაკებაში რევოლუციურ თემებს — ალეგორიულ-სიმბოლური ხერხით გადმოსცემდნენ. ეს ხერხი მოქანდაკეებს საშუალებას აძლევდა რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული ნაწარმოები შეექმნათ და იყენებდნენ ტრადიციულად გავრცელებულ ალეგორიულ სახეებს, 30-იან, 40-ან წლებში კი ცხოვრების ამსახველი კონკრეტული სახეების გადმოცემით დაინტერესდნენ.

კოტე მერაბიშვილის პროექტით შესრულებული შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც თბილისში რუსთაველის სახელობის მოედანზე დგას, იმ პერიოდის ქართული მონუმენტური ქანდაკების მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ეს ძეგლი 1937 წელს შეიქმნა.

პოეტი მშვიდი და დიდებული პოზით არის წარმოდგენილი; სახის ლამაზ ნაკვთებში კეთილშობილება იგრძნობა. ტანისამოსის ვერტიკალურად მიმართული ნაოჭების რიტმი ხაზს უსვამს ფიგურის მშვიდად დგომას. იგი თითქოს აგრძელებს მაღალი კვარცხლბეკის მიმართულებას. პოსტამენტის შესამკობად მოქანდაკემ ძველი ქართული ჩუქურთმის მოტივები გამოიყენა, ხოლო მის ძირში მოათავსა რელიეფი, რომელშიაც



# ქართული ქ

გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ეპიზოდი—ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება და მისი ტარიელთან შეხვედრა. რუსთაველის ფიგურა გამოკვეთილი იყო გოდოგნის ღია ფერის კირქვისაგან. მაგრამ ქვა ძლიერ ფოროვანი აღმოჩნდა და ქანდაკება რომ არ გამოფიტულიყო, მისი ზედაპირი ლითონის თხელი ფენით დაფარეს. ამან კი უარყოფითად იმოქმედა საერთო მხატვრულ შთაბეჭდილებაზე, ფიგურამ შავი ფერი მიიღო, რაც არ შეესატყვისება მარ-



■ ი. ნიკოლაძე. ჩახრუხაძე.

მარილოთი მოპირკეთებული კვარცხლბეკის ნათელ ფერებს.

პირველი წლებიდანვე მთავარი ადგილი ქართულ საბჭოთა ქანდაკებაში პორტრეტულმა ჟანრმა დაიკავა.

ი. ნიკოლაძემ, თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე, ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნა. მოქანდაკეს ადამიანის სახის ფსიქოლოგიური გადმოცემა აინტერესებს. ამიტომ არის, რომ იგი ხშირად უბრუნდება ერთიდაიმავე პიროვნების პორტრეტს. მან რამდენჯერმე შეასრულა ვ. ი. ლენინის, ი. ჭავჭავაძის და შ. რუსთაველის პორტრეტები. ქანდაკება „ჩახრუხაძე —XIII ს. მოაზროვნე“ ი. ნიკოლაძემ 1944-48 წ.წ. შეასრულა თაბაშირისა, ბრინჯაოსა და მარმარილოსაგან. ამ პორტრეტში ჩვენს წინაშე ღრმად მოაზროვნე ადამიანი და შთაგონებული პოეტია; დაძაბული სახის ნაკვთებში, დაფიქრებულ მზერასა, შეყრილ წარბებსა და მაღალ, გადაშლილ შუბლზე შინაგანი, სულიერი ცხოვრებაა აღბეჭდილი. ქართული ყაბალახის მსგავსი თავსაბურავი კარგად ეხამება პოეტის სახეს და შთამბეჭდაობას ანიჭებს ქანდაკებას.

პორტრეტულ ქანდაკებას დიდი ადგილი უჭირავს ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედებაში. მან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას ორი პორტრეტი შექმნა (1935 წ. 1948 წ.), რასაც მოჰყვა მხატვარ ლ. გუდიაშვილის, საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის და სხვათა პორტრეტები. ეს პორტრეტები მკვეთრი პლასტიკური ძერწვით გამოირჩევა, რითაც მოქანდაკე აღწევს პორტრეტულ მსგავსებას და სახის დამახასიათებელი ელფერის გამოკვეთას.

ქართული ქანდაკების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოქანდაკე თამარ აბაკელიამ. იგი ცნობილია, აგრეთვე, როგორც გრაფიკოსი და თეატრის მხატვარი. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობის გაფორმებაში. 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა ხელოვნებაში დიდი ყურადღება ექცევა ხელოვნებათა სინთეზის პრობლემას, სახელდობრ ქანდაკების გამოყენებას ნაგებობათა გასაფორმებლად. არქიტექტურასთან მის დაკავშირებას. ამ ამოცანის გადაწყვეტის საინტერესო მაგალითია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, რომელიც 1937 წელს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე აიგო არქიტექტორ შჩუსევის პროექტით.

რელიეფური ფრიზი, რომლის ავტორია თ. აბაკელია, მთლიან ზოლად მიიმართება შენობის ცენტრალურ ნაწილზე, კოლონადის ზემოთ... იგი გარკვეულ სიმსუბუქეს ანიჭებს და ამთავრებს ნაგებობის მკაცრ ფორმებს. გვერდით ფრთებზე მოთავსებული რელიეფური კომპოზიციები კი ორგანულად არის ჩართული კედლის სიბრტყეში. ეს კომპოზიციები კი

# ანდაკება



■ ე. ამაშუკელი. ვახტანგ გორგასალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ შეასრულა. აღნიშნული რელიეფები არქიტექტურის განუყოფელი შემადგენელი ელემენტია.

თ. აბაკელიას მიერ შესრულებული ფრიზი შედგება დასრულებული, იდეურად და კომპოზიციურად ერთმანეთთან დაკავშირებული ხუთი კომპოზიციისაგან, რომლებიც შექმნილია საქართველოში რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის თემებზე („1902 წლის ბათუმის დემონსტრაცია"; „ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში"; „საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაცია", „საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობა"; „შეძლებული ცხოვრება საქართველოში").

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირული ბრძოლა, ფართოდ აისახა ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებაში. გმირული შემართება, გამარჯვების ურყევი რწმენაა აღბეჭდილი იმ დროს შექმნილ სკულპტურულ ფიგურებსა და ჯგუფებში. ესენია: სილოვან კაკაბაძის „პარტიზანი", ირაკლი ოქროპირიძის „ცხენოსანი პარტიზანი", შოთა მიქატაძის „სამშობლო გეძახის" და სხვ.

1956 წელს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გაიხსნა ბელადის ძეგლი, რომლის ავტორია ვალენტინ თოფურიძე. ქანდაკებაში ბელადის ფიგურა წარმოდგენილია მისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული პოზით — მოწოდებით, წინ გაწვდილი ხელის ჟესტით, რაც მეტყველ და ძლიერ სილუეტს ქმნის. მძლავრად მოდელირებულ სახეში დიდი ნებისყოფის ხასიათია ხაზგასმული. მომავალში გათვალისწინებულია მოედნის რეკონსტრუქცია, გაფართოება. მას დაამშვენებს თანამედროვე სტილის შენობები, რაც უფრო შესაფერის გარემოცვას შეჰქმნის ბელადის მონუმენტისათვის.

გურამ კორძახიას მიერ შესრულებული ვ. მაიაკოვსკის ბრინჯაოს ფიგურა, მოსკოვში, პოეტის მუზეუმის შენობის წინ დგას. მოქანდაკემ შეძლო დამაჯერებლად გადმოეცა რევოლუციის მგზნებარე პოეტის ხასიათი. ქანდაკებაში პოეტის გარეგნული ფიზიკური მონაცემები ერთგვარად ერწყმის მის შინაგან, სულიერ სამყაროს. ეს ქანდაკება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ვლ. მაიაკოვსკის ქანდაკებებს შორის.

მოქანდაკეთა შემოქმედებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო დღესასწაულმა, რომელიც 1958 წელს აღინიშნა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო თბილისის ძველ უბანში ნარიყალაზე, ახლანდელ კომკავშირის ხეივანში აღიმართა ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება — „ქართლის დედა". ქალის ვეებერთელა ფიგურა მახვილითა და თასით ხელში სტუმართმოყვარეობისა და მტრის ვაჟკაცურად დახვედრის სიმბოლური განსახიერებაა. ეს ალეგორიული გამოსახულება საქართველოს დედაქალაქის ემბლემად გადაიქცა. იგი კლდის ნაპირზე დგას და ქალაქს ზემოდან გადმოჰყურებს. ფიგურა 20 მეტრის სიმაღლისაა, ალუმინისა და ფოლადის ფირფიტებისაგან არის აგებული, რომ შორიდანაც შესაძლებელი ყოფილიყო მისი დანახვა. მოქანდაკე ფიგურის ფორმებს უაღრესად ლაკონურად, ზოგადად გადმოსცემს და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სილუეტის გამომხატველობაზე. ქალის გრანდიოზული ფიგურა სიდიადის შთაბეჭდილებას ჰქმნის, ამასთანავე ძალზე პოეტურია და ქალაქის იმ კუთხის ხედს ერთიორად ალამაზებს. ამაშუკელი ამ ქანდაკებისათვის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა.

არანაკლებ საყურადღებოა ამავე მოქანდაკის მეორე ქმნილება — თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასალის ძეგლი. ბრინჯაოს ეს მონუმენტი — გორგასალის ცხენზე ამხედრებული ფიგურა — 1967 წელს დაიდგა მეტეხის ტაძრის წინ, კლდის ქიმზე. რა მანძილიდანაც არ უნდა



ი. ოჩიაური.
აჯანყება.



გ. კორძახია.
მაიაკოვსკი.

შეხედოთ მას, სილუეტის საერთო მოხაზულობა მაინც მკაფიოდ აღიქმება. ცხენის ერთგვარად დამძიმებული პროპორციები, მხედრის განზოგადებული სახე ძეგლს მონუმენტურს ხდის. ვახტანგ გორგასალის ზემოთ აწეული ხელი თითქოს ამტკიცებს მის გადაწყვეტილებას ქალაქის დაარსების შესახებ, გორგასალის ვაჟკაცურ გამოსახულებაში აღბეჭდილია ძლიერი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის სახე.

ბიძინა ავალიშვილმა ქართველ მოქონდაკეთაგან პირველმა აირჩია ხე მასალად. იგი ოსტატურად იყენებს ხეზე მუშაობის შესაძლებლობებს, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას პორტრეტში (1957 წ.) ბიუსტის საფუძვლად თითქმის დაუმუშავებელი ხის კუნძია გამოყენებული. თმა და წვერულვაში საჭრელის მსხვილი შტრიხებით არის ზოგადად გამოყვანილი, ხოლო სახის ნაკვთები — ზედმიწევნით დამუშავებული. განსხვავებულად დამუშავებული ზედაპირის დაპირისპირება ქანდაკებაში შუქ-ჩრდილის თამაშის მეტად ცვალებად ეფექტს წარმოშობს.

10.663

გიორგი ოჩიაურის პორტრეტებში სადა კომპოზიციური გადაწყვეტა კომპაქტურ, პლასტიკურ ფორმათა გამოვლენას უკავშირდება. მისი ადრინდელი ნამუშევარი „აჯანყება“ (1952 წ.) კაცის დინამიკური ფიგურაა, რომლის სახეზე, ექსპრესიულად გაწვდილ ხელებსა და ფართო, მძლავრ ნაბიჯში მგზნებარე მოწოდების მომენტია ხორცშესხმული. მეორე მხრივ, ფიგურის ხელში თოფის კონდახი ამბოხებული ძალის სიმბოლოა; ქართული ხალხური თემატიკა უდევს საფუძვლად გ. ოჩიაურის მცირე ზომის, ხეზე გამოჭრილ რელიეფებს — „შემოდგომა კახეთში“, რელიეფები ქართულ ხალხური სიმღერების მოტივებზე, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხვ. მოქანდაკე მიზნად ისახავს შექმნას სიმღერის საერთო ხასიათის შესატყვისი განწყობილება, რისთვისაც იყენებს კონტურის რიტმულობას და სხეულის პლასტიკურ მოძრაობას.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა დავით გურამიშვილის პიროვნების თავისებური გააზრება მოგვცა ქანდაკებაში, რომელიც 1965 წელს დაიდგა ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე. დავით გურამიშვილის სახე შეიძლება

[illegible]
მ. ბერძენიშვილი.
დ. გურამიშვილი.



სხვადასხვანაირად წარმოვიდგინოთ მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების მიხედვით. იგი სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, მოაზროვნე, ლირიკული ბუნების პოეტი იყო. საქართველოს ძნელბედობა მან მტკივნეულად განიცადა, განიცადა სიმწარე სამშობლოსაგან დაშორებისა. მოქანდაკემ თავის ნაწარმოებში მიზნად დაისახა გადმოეცა პოეტის სულიერი ტანჯვა, რისთვისაც მის გარეგნობაში ასკეტურობას გაუსვა ხაზი. ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის გამხდარი სხეული და ღრმად ჩავარდნილი ლოყები და ამოწეული ყვრიმალის ძვლები. ღრმა დაფიქრებასა და სევდას გადმოსცემს შეყრილ წარბებქვეშიდან მომზირალი დიდი თვალები და მჭიდროდ მოკუმული ბაგე.

ამ ქანდაკებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ზოგნი არ მიიჩნევენ მას პოეტის სახის შესაფერისად. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მოქანდაკის მიერ გამოყენებული ქანდაკების თავისებურებები შეესატყვისება იმ ამოცანის ხორცშესხმას, რომელიც მან მიზნად დაისახა. ქანდაკებაში ემოციურად არის ასახული პოეტის სულიერი ტანჯვა და სამშობლოს ბედუკუღმართობით გამოწვეული სევდა.

1966 წელს დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის საიუბილეო დღეებში მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა მ. ბერძენიშვილის მეორე ძეგლი „შოთა რუსთაველი“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზის ძიების საინტერესო მაგალითია ობელისკები, რომლებიც 1958 წელს, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად აღიმართა თბილისის მისადგომებთან: ერთი მცხეთის გზაზე (მოქანდაკე — ე. ამაშუკელი, არქიტექტორი —თ. კანდელაკი), მეორე — რუსთავის გზაზე (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ა. ბაქრაძე). თბილისში დაიდგა 300 არაგველის ძეგლი (არქიტექტორი — ა. ბაქრაძე). ამ ძეგლების არქიტექტორული კომპოზიცია შედგება თვით ობელისკის ვერტიკალურად აღმართული და მის გვერდით მეორე — ჰორიზონტალურად დადგმული გეომეტრიული მოცულობისაგან. მათი ზედაპირი ქვის სიბრტყეში ამოჭრილი, ანდა ბრტყელი რელიეფით შესრულებული გამოსახულებებით არის დაფარული. ამ გამოსახულებებით გადმოცემულია ისტორიული სიუჟეტები, ძველი ქართული ყოფის, ომის, ნადირობის სცენები. ზოგ რელიეფს დეკორაციული დანიშნულება აქვს, ამიტომ წინ არის წამოწეული გამოსახულე-

ბათა დეკორაციულობა, სტილიზებული ნახატი, ორნამენტული წარწერები.

ამ ბოლო დროს საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქანდაკების ერთერთმა დარგმა — ჭედურმა ხელოვნებამ. მასალად ძირითადად თითბერს, სპილენძს, ალუმინს იყენებენ. საყურადღებო მოვლენაა ჭედური რელიეფების გამოყენება შენობათა ინტერიერის შესამკობად.

ქორწინების სასახლის ინტერიერი გაფორმებულია მოქანდაკე ირაკლი ოჩიაურის სპილენძზე ნაჭედი რელიეფებით, რომლებითაც შენობის დანიშნულებასთან დაკავშირებული სიუჟეტებია გადმოცემული. ვესტიბულის კედელზე განლაგებულ სამ ჭედურ ფირფიტას („მიჯნურები“, „მშობლების დალოცვა“, „ბედნიერი ოჯახი“) თანმიმდევრული თხრობა აერთიანებს. პირველ ორ კომპოზიციაში რომანტიკული, ამაღლებული განწყობილებაა ხაზგასმული; უკანასკნელი რელიეფი ცხოვრების ხალისიან სურათს ასახავს — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბავშვს ეთამაშება. ქორწინების დარბაზის მთავარ კედელზე ქალიშვილისა და ჭაბუკის გამოსახულებაა მოცემული. აქ ეს ერთადერთი რელიეფი, თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. კომპოზიცია შედგება ერთმანეთის გვერდით მსხვილი მასშტაბით გამოსახული ორი თავისაგან; რელიეფი კონტურზეა შემოჭრილი. ვაჟის სახე პირდაპირ არის წარმოდგენილი, ხოლო ქალისა — ნაწილობრივ, რაც ქმნილებას კომპოზიციურად მიმზიდველს ხდის. დახვეწილი სახის ოვალი, გადაშლილი წარბები, ნაზი ღიმილი მათს პირისახეს დიდ გამომხატველობას ანიჭებს. თმის ტალღისებური ნახატი, ქალის სამკაული აცოცხლებს გამოსახულებას. რელიეფი შესანიშნავად რთავს დარბაზს და მისთვის შესაფერის საზეიმო განწყობილებას ქმნის. ი. ოჩიაურის ჭედური რელიეფები დიდი ოსტატობით გამოირჩევა. ისინი ორგანულად ეხამება ინტერიერს. ბუნებრივი და ხელოვნური განათება რელიეფების ზედაპირის ლამაზ ელვარებას ჰქმნის, რაც აძლიერებს საერთო დეკორაციულობას.



ნ. კანდელაკი.
ლ. გუდიაშვილის ბიუსტი.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ფოიეს გაფორმებაში (1965 წ.) კობა გურულმა გამოიყენა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის დიდი კომპოზიცია, დეკორაციული ელემენტები ნიღბების სახით. კომპოზიცია „ავთანდილის სიმღერა“ შეიცავს ჭედურით შესრულებულ დიდი ზომის ძირითად გამოსახულებას (ცხენზე მჯდარი ავთანდილი) და მასთან დაკავშირებულ მომცრო რელიეფებს. ფორმების ერთგვარი გეომეტრიზება, ნახატის სტილიზაცია განსაზღვრავს რელიეფის დეკორაციულ-პირობითს ხასიათს, ამასთანავე კომპოზიციის შიგნით განსაზღვრულ დასრულებულ რიტმს ჰქმნის. ჭედური რელიეფის (სპილენძი) ოქროსფრად მოციმციმე ზედაპირის კონტრასტული დაპირისპირება კედლის ნათელ ფონთან სადღესასწაულო განწყობილებას ჰმატებს დარბაზს.

ჟანრების მრავალფეროვნება, განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილი მეტყველი ნაწარმოებები ქართული ქანდაკების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე მიუთითებს.



## არდადეგებზე

**ჯანსუღ ნიქაბაძე**

ახლა, როცა ზოგი ზღვაზე,
ზოგი მთებში მეგულვით,
სოფელ-სოფელ, აღმა-დაღმა
დანავარდობთ, ისვენებთ,
ტანს გიგრილებთ ლურჯი ჩქერი
ჭოროხის თუ ენგურის,—
მშობლიური, თქვენი სკოლა
თქვენზე ფიქრობს ისევე.

ახლა, როცა თითბრის ზარი
აღარ გიხმობთ მალხაზებს,
სკოლის ეზო დაუფარავს
მოხასხასე კოინდარს,
ახლა, როცა ასო-ასო
არაფერს წერთ დაფაზე,
როცა ჩვენი, სკოლის ხენი
გესალმებათ შორიდან,—

დაშრიალებს შალაშინი,
ტრიალებენ ჩარხები,
ემატება დაფას დაფა,
მერხებს—მერხი ახალი,
გაზაფხულის ცხრათვალა მზე
ცელქი სიოს თანხლებით,
თქვენს სასკოლო ბაღს და ვენახს
სიყვარულით დაჰხარის.

დუგდუგებენ მანქანები,
იბეჭდება წიგნები,
შრიალებენ რვეულები
ფურცელ-ფურცელ, ლამაზად..
თქვენთან არის, ისევ თქვენთან
სასექტემბრო ფიქრებით,
თქვენი სკოლა და სკოლისკენ
მიმავალი შარა-გზაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. კვიცინია

# მძულს მარტოობა

მხატვარი
გაიოზ ფოცხიშვილი

არ მინდა გზაში კენტად ვიარო,
მწვერვალზე ასვლა კენტად არ მინდა,
არ მსურს კენტად ვჭრა ტალღა ძლიერი,
კენტად დამათროს ნაზმა ამინდმა...

მე მოგიყვებით შორეულ ამბავს,
სიკვდილის დღემდე სახსოვარს, ალბათ;
ბავშვობის წლებში, ერთ დღეს, მშვენიერს,
გავემართენით მთებში სალაშქროდ,
გზაში სიმღერაც მოვიშველიეთ,
ლამის, წყალივით, სიცხემ დაგვაშრო.

გვესმოდა ქშენა მძლავრი ჩანჩქერის,
შორს იდგნენ მთები თეთრი ჩაჩქნებით,
ძირს ლივლივებდა ცა ლაჟვარდული,
მზე კვლავ გვიშენდა სხივებს ნემსებად,
ვპოვეთ ნაძვნარი, ჩრდილდაბადრული,
და ჩავიმუხლეთ წასახემსებლად.

უცებ შევნიშნე ატეხილ მთაზე
ციხე, უცნაურ ფერებით სავსე,
წამომიარა ყმაწვილს სიანცემ
ვთქვი: „ლოდინის დრო არ არის ახლა!
გავეპარები ტოლებს უჩუმრად
და ბებერ ციხეს პირველად ვნახავ!“..

ჩავსდიე ბილიკს, ვით გმირი დიდი,
(ასე—გულადი მზვერავი მიდის).
ჯერ ჩამიყვანა ბილიკმა ხევში,
ბევრი ვეწვალე, ბევრი ვიშრომე
და, ხევში ჩასულს, შემომრჩა ხელში
ციხისკენ—უფრო დიდი სიშორე.

მაინც ჯიუტად განვაგრძე წინსვლა,
მკლავდა სურვილი ბრძოლის და წვისა.
ციხე იყო თუ ბედის ურჩხული,
მემუქრებოდა ბავშვს გაწბილებით,
მეწვოდა მკერდი, მზით გარუჯული,
და დაკაწრული ეკლით წვივები.

კარგა ხანს ვკეცე სავალი ასე,
ბოლოს, დაღლილი, ჩამოვჯექ ქვაზე
და გულში შიშის ელდამ იკივლა:
წინ ლოდებია ჩახვავებული,
არც ნაფეხური, არც ბილიკია,
უკან ხრამია ჩალამებული.

მოდი და სძლიე სივრცე ამხელა!
თავის მოჭრაა უკან დახევა!
დრო კი არ იცდის, დრო უმოწყალო,
იქ მეგობრები მეძებენ ალბათ!
— მომეც ძალღონე, ხევის ორწყალო,
და გულის წამლად ნანატრი ბალბა!..

სხვა გზა არ არის! უკან ვბრუნდები,
ცით მომჩხავიან ჩხართვის გუნდები.
ნეტავი ვინმე სულდგმული შემხვდეს!..
აი, ჩემი გზა ხეობას გასცდა,
ვფიქრობ: მეშველა!.. და ჩემსავ ფეხებს
ისევ მოვყავარ ხავსიან ქვასთან.

ვგრძნობ, ვიღუპები, აშკარად მივხვდი,
ვდგავარ გამშრალი და ფეხშიშველა...
შემომხვდა მწყემსი და, სასომიხდილს,
იმ ქრისტიანმა მწყემსმა მიშველა...

...ეს იყო ადრე, დიდი ხნის წინათ,
მას აქეთ ბევრჯერ მოვიდა წვიმა,
ბევრი თოვლი და ყინული გალხვა,
ბევრი აფრინდა იმ მთებში შურთხი,
და, როცა იმ დღეს ვიგონებ ახლა,
კენტად სიარულს, ვით სიკვდილს, ვუფრთხი,

მგონია, სადმე მეცვლება მხარი,
როს მარტოობის ჩამოჰკრავს ზარი,
არ მინდა გზაში კენტად ვიარო,
მწვერვალზე ასვლა კენტად არ მინდა,
არ მსურს კენტად ვჭრა ტალღა ძლიერი,
კენტად დამათროს ნაზმა ამინდმა...

აფხაზურიდან თარგმნა
ო. კუპრავამ.





სიცოცხლის ძაფი!.. არავინ უწყის, როდის გაწყდება იგი...

ახლა მთავარია სიმშვიდე...

შეუსვენებლივ, სირბილით ისე ავიდეს და ჩამოვიდეს, ვითომც არაფერიო. ამბობენ, ცალი თითით შიშველ კლდის ქიმზე მთელი კვირაც რომ ეკიდოს, კვნესა არ აღმოხდებაო, რას არ ამბობენ „კლდის ვეფხვზე"!

ნამდვილად კი იგი ჩვეულებრივი ადამიანია. ადამიანი თავისი ყოველდღიური სიხარულითა და სადარდებლით, ნათესავებით, მეგობრებით, ოჯახით.

მესტიის რაიონში, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მას სრულიად უბრალოთ სახელით მიმართავენ, — მიხეილი. მისი სიტყვაძუნწი და მომთხოვნი თანამემამუ-

# ადამიანი ყველ

**მირონ ხერგიანი**

ამჟამად მას მთელ მსოფლიოში იცნობენ როგორც უმამაცეს მთამსვლელს, მთების მინდიას, კაცს, რომელიც ქარივით მსუბუქია... ჟურნალგაზეთები მსხვილი შრიფტით ბეჭდავენ რეპორტაჟებსა და ნარკვევებს მრავლისმეტყველი სათაურებით: „კლდის ვეფხვი" — საქართველოდან", „ადამიანი-საკვირველება..." ამ ადამიანზე ახლა ბევრი ლეგენდა და ფანტასტიკური თავგადასავალი დადის. ამბობენ, თითქოს შეუძლია, რომელ მწვერვალზეც გნებავთ ლეების აღტაცებაში მოყვანა არც თუ ისე იოლი საქმეა.

თვითონ მიხეილიც ასეთია. უბრალო და შრომისმოყვარე. სწამს, რომ ყოველგვარი წარმატება და დიდება საკუთარი შრომით მოიპოვება;

საქმეები კი დაულეველია. ერთს რომ გააკეთებ, მეორე გიხმობს... ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს, გეწევიან მაღლა, ცისაკენ...

უკვირს თავის გარშემო ატეხილი ქება-დიდება. „ყველაფერი ეს ზედმეტია... მე მგონი, ვისაც კი თავისი საქმე ჭეშმარიტად უყვარს, მისთვის ეს პათეტიკა ზედმეტია..." — ამბობს მიხეილი.

— „სვანეთში დაბადებული კაცი ბევრით არის დავალებული მთისაგან" — ტყუილად როდი უთქვამთ წინაპრებს. მთა აქ ყველაფერია: მთა იფარავს, მთა ჰკვებავს და ასაზრდოებს ადამიანს. საოცარია მთა. შეგიჩვევს, შეგიჩვევს, და ვეღარც მოსცილდები. მერე მთა მშობელივით საყვარელი და ახლობელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებს ისევე, როგორც ხე—მიწაში. — საუკუნოვანი მყინვარებივით გამჭვირვალე, ოდნავ მოჭუტული თვალებით ფანჯრის მიღმა იხედება მიხეილი, გამოქარული, ქანდაკებასავით ჩამოსხმული სახე გარინდებია, რაღაცნაირად დაძაბვია, თითქოს ნაპრალზე გადასახტომად შემართულაო. დუმს, მერე ძლივს შესამჩნევი ღიმილი უკრთება სახეზე, ღიმილი მზის სხივებივით ეფინება... იგი თავის პირველ ნაბიჯებს, თავის ბავშვობას იგონებს...

მიხეილის ბაბუა ანტონი ცნობილი მონადირე იყო. რამდენჯერ გასდევნებია მიხეილი მას ჩუმად, მაგრამ შიშით,—არ გამიგოსო, შუა გზიდან დაბრუნებულა შინ. იგი პატარა იყო, პატარა და გამოუცდელი. ჯერჯერობით სანადიროდ არავინ წაიყვანდა: — „კლდეებში ჰალე დადის, ჰალე ბავშვებს დასდევს... „— აშინებდნენ ხოლმე უფროსები. ამ დროს მას ეს ჰალე სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, მთებზე სანადიროდ წასვლა უნდოდა, დალა-ყორას ფანჯარა იტაცებდა. „ერთი თუ არ გადავძვერი, არ იქნება... აუცილებლად გადავძვრები..." — ფიქრობდა და თავისთვის ადგენდა გეგმებს. მამისთვის თოფი უნდა მოეპარა, სახლიდან გაპარულიყო და მერე თვითონ იცოდა! თოფი კი იგდო ხელთ, მაგრამ... დალა-ყორას ფანჯარაში ვეღარ გაეტია დ სასაცილოდ გაიჩხირა... ვერც წინ მიიწევდა, ვერც უკნ... ახლაღა შეამჩნია, თურმე რა სიმაღლეზე ამოსულიყო, შიშმა თავბრუ დაახვია. მაგრამ უკნასკნელი ღონე მოიკრიბა და შეებრძოლა შიშის გრძნობას.

„მზე! მზე საცაა ჩავა, მთებში მალე

## ა მწვერვალზე ქალაქის...

ღამდება, ირგვლივ სიბნელე დაისადგურებს, და... სწორედ ამ წუთას გაახსენდა, რატომღაც, ჰალე, ჰალე, სასაცილოდ რომ არ ჰყოფნიდა სხვა დროს. ,,კლდეებში ჰალე დადის, ჰალე ბავშვებს დასდევს... რა ეშველება?“.

მალე მზე ჩავიდა. მყინვარები და კლდეები გამუქდა. ქვევით ნაძვნარის ზოლი ღამისეულ ბურუსში გაეხვია. საღამო ხეობიდან მოიპარებოდა და მაღლა-მაღლა მოცოცავდა. ბოლოს კავკასიონის თეთრი მწვერვალებიღა შერჩა ნუგეშად. წყვდიადმა ვერ დაიმორჩილა ისინი, ზღაპრული ჩირაღდნებივით თეთრად რიალებდნენ.

— მწვერვალები რომ არა, ალბათ გავგიჟდებოდი, ისინი ჩემს თვალწინ აღმართულიყვნენ და ადამიანივით თვალებს მიპაჭუნებდნენ. — იღიმება მიხეილი — მე მათი იდუმალი ხმა გავიგონე: — აბა შენ იცი, არ შეგეშინდესო.. მე ვითვლიდი მწვერვალებს: ჩათინი, უშბა, გულბა, იალბუზი... მივყვებოდი, სანამდეც თვალი მიმიწვდებოდა, ვითვლიდი დაუსრულებლივ, მოთმინებით... მალე მყინვარებიდან ქარმაც დაუბერა.. ვთრთოდი, ვკანკალებდი... როგორ მენატრებოდა იმ წუთში მიწა, სოფელი, მშურდა თანატოლებისა, ტკბილად რომ ეძინათ თბილ საწოლებში. ბარე ათასჯერ გადავწყვიტე: ,,არა, ამიერიდან არასოდეს წამოვალ მთებში... ახლოს რად გავეკარები ამ დაწყევლილ დალა-ყორას, არასოდეს შევმართავ ჯიხვებზე ჩახმახს!... უცბად მომიარა სურვილმა — შორს გადამესროლა თოფი, სადმე უფსკრულებში გადამეგდო. თანაც იგი საშინლად დამძიმდა, ძლივს ვიჭერდი ხელში. ასეც მოხდა: თავისით დამივარდა, რაჩხუნით დაეშვა დაბლა, სადღაც ქიმს გამოედო და ერთი ბათქანი გაადინა. თოფი თავისით გავარდა, ღამისეული მდუმარება დაარღვია. მერე ისევ მიჩუმდა ყველაფერი და მე განვაგრძე... მწვერვალების თვლა. უეცრად შევნიშნე, ისინი თანდათან გაფერმკრთალდნენ. გამოისახნენ. მივხვდი, თენდებოდა. მერე ის იყო, გათენდა. მზის ნათელს სტვენის ხმა მოჰყვა. შურთხი თუ იყო! სტვენის ხმა ისევ განმეორდა. გული გამინათდა — მამაჩემმა იცოდა ასეთი გაბმული სტვენა. ეს მამაჩემი მოუყვებოდა ქარაფებს...

უკან რომ ვბრუნდებოდით, არცერთი არ ვიღებდით ხმას. მე მორიდებისა და შიშისაგან, მამაჩემი კი... ალბათ განაწყენებული იყო. ბოლოს, როგორც იქნა კრიჭა გახსნა და შემეკითხა:

— გეშინოდა?..

— პირველად დაბლა რომ გადავიხედე, ლამის გული შემიღონდა, მერე ცოტა გადამიარა.

— ეტყობა სიმაღლემ შეგაშინა. თუ მაინცდამაინც არ ეშვები ამ კლდეებს, თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი.

— თავიდან? კი მაგრამ, როგორ, რანაირად?..

— ჯერ სიმაღლის შიში უნდა დათრგუნო, მერე ასვლის ხერხები უნდა დაისწავლო, გული და მუხლი შეაჩვიო ,,მცირე მწვერვალებს“.

მას მერე სულ სხვანაირად წარიმართა საქმე:

თანასოფლელები უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ: მიხეილმა და მისმა ამხანაგებმა — შალიკო მარგიანმა, მიხეილ ხერგიანმა (უმცროსი) ხუთსართულიანი კოშკების კედლები თოკებით დაქსელეს. რიგრიგობით მიიწევდნენ მაღლა სათოფურებისაკენ, ფოცხვერებივით ეკიდნენ. მათს საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები. შეცდომებზე უთითებდნენ ბიჭებს. ისინიც თანდათან სწავლობდნენ მარყუჟების სახეობებს, თოკის განასკვას, ,,დულფერით“ დაშვებას დიდი სიმაღლიდან...

— საღამოობით, თავისუფალ დროს, ჩუმად ავიპარებოდი ხოლმე კოშკზე, მორღვეულ ქონგურზე გადმოვეყუდებოდი პირდაღმა. მთელი საათობით ვიწექი ასე და სიმაღლეს ვაჩვევდი თვალს. უკვე აღარ მეკვროდა სუნთქვა, აღარ მესხმოდა თავბრუ; მერე და მერე მაღალ კლდეებსაც მივაშურე. იმ წელს იყო სწორედ, პირტიტველა ყმაწვილმა მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად მწვერვალი ბანგურიანი რომ დავლაშქრე. ალბათ კარგ მთვარეზე შევდგი ფეხი, მომდევნო წლებში ჩრდილო კავკასიაში, ჯაილიკის ალპინისტთა ბანაკში საინსტრუქტორო კურსებზე ჩავირიცხე. ეს 1951 წელს მოხდა, ჰოდა, ბანგურიანს ზედიზედ მივაყოლე რამდენიმე მწვერვალი. მართალია, ყველაფერი ისე როდი მიმდიოდა, როგორც საჭირო იყო. მიჭირდა რუსულად სწავლა. პირველ წელს კვლავ წამძლია ცდუნებამ, სისულელე ჩავიდინე: მარტო გავუდექი გზას ვიატაუს მწვერვალისაკენ ყველაზე ძნელი მარშრუტით; კვლავ დალა-ყორას შემთხვევა განმეორდა. უკან ვეღარ დავბრუნდი თავის დროზე, ზედ მწვერვალზე მომიწია ღამისთევამ. მეორე დილით გათოშილი, ბეღურასავით აბურძგნილი მივადექი ამხანაგებს. ყველამ მისაყვედურა. მამაჩემმა და ბიძია მაქსიმემ რომ გაიგეს ეს ამბავი, უიმედოდ ჩაიქნიეს ხელი — არ იქნა, ჭკუა ვერ ისწავლაო. მას მერე აღარ მომსვლია ასეთი რამ. მე უკვე ისე პატარა აღარ ვიყავი და თანდათან მეტი და მეტი მომეთხოვებოდა. იმავე წელს ბანაკის პირველობაზე კლდეზე ცოცვაში პირველი ადგილი დავიკავე. მომავალ ზაფხულს კი საკავშირო შეჯიბრებაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ასეთ დიდ პასუხსაგებ ასპარეზობაში. კარგად გამოვედი, მე და შალიკო მარგიანმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოვიპოვეთ წყვილთა სვლაში; იმ წლიდან მოყოლებული ცხრაჯერ მივიღე მონაწილეობა კლდეზე მცოცავთა შერკინებაში. შარშან ჩამოვიტანე სწორედ მეცხრე ოქროს მედალი იალტიდან;

მერე მიხეილი მის მიერ პირველად ან ახალი გზით დაპყრობილ მწვერვალებს ჩამოთვლის, აი, ეს მწვერვალებიც: კავკასიონზე: ჯაილიკი, 1954 წ; თუთუბაშის კედელი, 1957 წ.; დონგუზორუნი, 1957 წ.; თუთუბაშის ცენტრალური კედელი, 1958 წ.; პირველი ზამთრის ასვლა საბჭოთა კავშირში მეოთხე კატეგორიის სიძნელის მწვერვალზე, 1958 წელი; შუროვსკის პიკის დალაშქვრა, 1964 წელი; ჩითინისა და ულუტაუს კედლები, 1965 წელი; პამირზე — სტალინის პიკის დაპყრობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წელი; ტიანშანში — უსახელო მწვერვალის დაპყრობა, რომელსაც ქართველმა მთამსვლელებმა ვაჟა-ფშაველას სახელი უწოდეს, 1961 წელი. და კიდევ მრავალი სხვა...

სულ, მიხეილი თითქმის ოთხას დიდ და პატარა მწვერვალზე ასულა და ეს ალბათ აბსოლუტური რეკორდია მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. რად ღირს მარტო საბჭოთა კავშირში ყველაზე უძნელეს მწვერვალზე „ლენინის პიკზე“ ორჯერ ასვლა! იგი ხომ ევერესტის უმცროსი ძმაა — დედამიწის მეორე სახურავი. 1967 წელს, დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს გამო, მსოფლიო გამოჩენილ მთამსვლელებთან ერთად მიხეილიც მონაწილეობდა ლენინის პიკის შტურმში. სწორედ მან აიტანა მწვერვალზე რევოლუციის დიდი ბელადის ბიუსტი, პირველმა მან შედგა ფეხი მთის დალესილ ზედაპირზე.

— რა დაგრჩათ კლდეებზე, მიწაზე ვერ დაეტევით? რაზე იკლავთ თავს? — ხშირად მსმენია საყვედური, განსაკუთრებით, ძნელი, ტრაგიკული ასვლების მერე გვისაყვედურებენ ხოლმე. ნათესავმეგობრებს ვეცოდებით ბიჭები და თავიანთ გულისწყრომას იმის გამო, რომ ჩვენ კინაღამ გადავიჩეხეთ, ან გავიყინეთ, ასე გამოხატავენ. რა თქმა უნდა, ძნელია პასუხის გაცემა. ასეთი პრაქტიკული თვალსაზრისით თუ მივუდგებით ამ საკითხს, მართლაც და რა დარჩენია ადამიანს უკაცრიელ მწვერვალებზე? მიდი და აუხსენი თუ კაცი ხარ, აუხსენი და დაარწმუნე, რომ დარჩენაარდარჩენა აქ არაფერ შუაშია.

გაახსენე ამ ხალხს 1942 წლის კავკასიონის ბრძოლები, როცა გადამწყვეტ როლს სამთო ოსტატობა და ალპინისტური ხელოვნება ასრულებდა. გაახსენე ბექნუ და გაბრიელ ხერგიანების მაქსიმე გვარლიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, გოჯი ზურებიანის, ილიკო გაბლიანისა და სხვა ქართველი მთამსვლელების სასახელო საქმეები კავკასიონზე, იქნებ მაშინ შეგეშვან და თავი გაგანებონ... მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა.

ჩემთვის, მაგალითად, ყოველი დაუპყრობელი მწვერვალი აუხსნელი, კონკრეტულ საგნად ქცეული ოცნებაა, მიზანია, რომელიც თვითეულ ჩვენთაგანს ასულდგმულებს და ამოძრავებს, და, შენ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, სცადე დაიმორჩილო იგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიდი და აიხდინე წმიდათა-წმიდა ოცნება, გულისწადილი შენი. განა მაგაზე საპატიო საქმე არსებობს რაიმე ამ ქვეყნად? მე არა მაქვს მხედველობაში მინცდამაინც მთამსვლელის მიერ რომელიღაც მწვერვალის დაპყრობა, მე ვგულისხმობ ოცნების, მიზნის აღსრულებას საერთოდ, რასაც იშვიათად აღწევს ხოლმე ადამიანი. რა თქმა უნდა, ძნელია, ძალიან ძნელია. ეს არის დღენიადაგ ბეწვის ხიდზე სიარული, ხიდზე, რომელიც მორყეულია, ქანაობს და შეიძლება ამ წუთში ჩატყდეს, შეიძლება ცოტა მოგვიანებით, ეს ეშმაკმა უწყის! ალბათ ამიტომ არის, რომ მთამსვლელი, რომელმაც საექსპედიციო თადარიგი დაიჭირა, ტყავის ბურთივით დაჭიმული, დაკუმშულია; შინაგანი, ქვეშეცნეული მღელვარება ძაბავს და აქანდაკებს მას. მთამსვლელებს სიტყვაძუნწობასაც უსაყვედურებენ ხოლმე. სიტყვაძუნწი ხალხი რომ არის, ეს მართალია. აბა სცადეთ და რომელიმე ხელოვანს ეწვიეთ თავის სახელოსნოში, როცა იგი გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობის პროცესშია. საუბარს გაგიბამთ კი არა, შეიძლება კარიც კი მოგიხუროთ. ასევეა მთაშიც. მთა ალპინისტისათვის იგივე სახელოსნოა; მართალია, აქ ქანდაკება არ იძერწება, მაგრამ ისეთივე შემოქმედებითი მუშაობა, უფრო სწორად აბსტრაქტული შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს — მხატვარივით, მწერალივით რაიმე ხელშესახებს, კონკრეტულს კი არ ჰქმნის, ერთი შეხედვით, მარტივ საქმეს ასრულებს: ადის მწვერვალზე და ჩამოდის მწვერვალიდან. შეიძლება ნაფეხურებიც არ დარჩეს მისი; ვერავისთან ვერ დაიტრაბახებს, ამდენი ოფლისღვრის შედეგად ეს შევქმენი, ის შევქმენიო. მაგრამ სიცოცხლე? სიცოცხლე, რომელიც უვნებელი, მთლიანი დაბრუნდა ბარში? ამ სიცოცხლეს ხომ იგი დაატარებდა სიკვდილივით მიმობნეულ ნაპრალებს შორის, იგი ეზიდებოდა ხელშეუვლებელ ქარაფებსა და ქიმებზე. მან განაცდევინა გამარჯვების სიხარული და სიდიადე შეჰმატა ადამიანის სულს. თუ ეს ასეა, მაშინ მთამსვლელის დაპყრობილ მწვერვალებს, ამ სიცოცხლეს, ამ სულის სიდიადეს სხვები დაინახავენ და წაიკითხავენ, როგორც სიმამაცის, სიყვარულისა და ძლიერების წიგნს. აი, ამ მომენტში იგი უკვე ახლოს არის ხელოვანის შემოქმედებასთან. ჭეშმარიტი მთამსვლელი არასოდეს მიატოვებს მთას, ისევე, როგორც მეზღვაური — ზღვას და პოეტი — ლექსების წერას. არ მიატოვებს, ვიდრე მთელია, ვიდრე არ გამწყდარა მისი ჯაჭვი. მერე კი... დაძაბულობასა და გაჭირვებას ყოველთვის აბათილებს და ანაზღაურებს გამარჯვების სიხარული. ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!

ყველაზე დიდ გულისტკივილს მაინც საყვარელი, ახლობელი მეგობრის დაკარგვა აღძრავს. ნათქვამია, „ერთი კაცი ვერასოდეს მთამსვლელი ვერ გახდებაო“. სრული ჭეშმარიტებაა. მთამსვლელობა მეგობრების, კარგი ვაჟკაცების ხელიხელჩაკიდებული, შეთანხმებული და თავგანწირული ბრძოლაა. უხილავი ომია. გაჭირვებაში ჩავარდნილის საკუთარი მკერდით დაცვაა. ვინც ამ თვისებებს მოკლებულია, მას აღარაფერი ესაქმება მთებთან.

იგი იხსენებს მიხეილ ხერგიანს, (უმცროსს):

— ტიანშანის ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ზედ გამარჯვების პიკის მისადგომებთან იგი შეუძლოდ გახდა, პირველად თავის სიცოცხლეში მოეხსნა თოკს და მორიდებულად ითხოვა — დამტოვეთო.

— როდის იყო, ასე ვტოვებდით ერთმანეთს, — ვეუბნებოდი მე.

მაგრამ იგი მაინც თავისაზე იდგა, ძირს მაინც ველარ ჩავაღწევ და რა აზრი აქვს ჩემი გულისათვის მოცდენასო. მწვერვალი ხელის გაწვდენაზე იყო და მას არ უნდოდა წყალში ჩაეყარა ჩემთვის ამდენი შრომა. მე ვცადე მისი ზურგზე წამოკიდება, მაგრამ გამიძალიანდა: თავი თუ არ გაგინებებია უფსკრულში გადავეშვებიო. ხელ-ფეხი და სახე ერთიან მოყინვოდა. არაფრით არ მოდიოდა. — სხვები ხომ წავიდნენ, შენც გაჰყევიო...

— მაშინ ორივე ვისხდეთ აქ, ან ორივე გადავცვივდეთ. როგორც გინდა, — შევთავაზე მე და მაგრად ჩავკიდე ხელი.

თავისი თავი კი არა, მე ვერ გამიმეტა. თავს ძალა დაატანა, ფეხზე წამოიწია და მანიშნა — გზას გავუდგეთო. ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლო და მაინც მოდიოდა. უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, მეხმარებოდა... და ასე ჩამოვაღწიეთ მაშველ ბანაკამდე. განა დიდი სიყვარულის გარდა შეეძლო რამეს მისი გადარჩენა? არა მგონია! მაგრამ სიყვარული თავისთავად როდი მოდის. კაცმა უნდა დაიმსახუროს იგი. „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო“. ასეა აქაც. მიხეილი გადარჩა, განიკურნა და უამრავჯერ დალაშქრა მწვერვალები. მას მთებმა ვერაფერი დააკლო, კლდეებმა ვერ შეჰბედეს ვერაფერი და ისე მოეპარა საიდანღაც სიკვდილი... იმას ვამბობდი. იგი ჩემი მარჯვენა ხელი იყო, ბავშვობიდანვე თანშეზრდილი, და ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხეულის რომელიღაც ნაწილი დავკარგე. ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. და, როცა მე და ჩემი უახლოესი ამხანაგები: შალიკო მარგიანი, ჯუმბერ და ერმინე კახიანები, გივი წერედიანი, ჯოკია გუგავა, თამაზ ბაქანიძე, რომა გიუტაშვილი, ჯულვერ რუსიშვილი, პირიბე გვარლიანი, რომელიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვერვალზე ავდივართ, მიხეილიც ჩვენთან არის, დამპყრობთა სიაში ყოველთვის მოიხსენიება მისი გვარი და სახელიც: — მიხეილ ხერგიანი (უმცროსი). ჩვენთან ერთად არიან სხვა, ადრე დაღუპული ბიჭებიც... ჩვენ თითქოს შურს ვიძიებთ.

მერე მიხეილი ჰყვება 1960 წელს საბჭოთა მთამსვლელების მცირე ჯგუფთან ერთად ინგლისში მოგზაურობის ამბავს.

ინგლისელმა კოლეგებმა ტექნიკურ ტრასაზე ოსტატობის დემონსტრირება შესთავაზეს. ეს არც ისე მაღალი, მაგრამ გაუვალი კლდის მონაკვეთი იყო, მრავალი მთამსვლელი რომ უმსხვერპლია, ალპინიზმის ისტორიის არც თუ ისე დიდ მანძილზე. უამრავ ცნობისმოყვარეს, სანახაობის მაძიებელს მოეყარა თავი კლდის მისადგომებთან. აქ იყო ინგლისის დედოფალიც. მისი დასწრება კიდევ უფრო აცხოველებდა საერთო ინტერესს. და აი, მეგობრებმა მიხეილზე შეაჩერეს მზერა. იგი მათში ყველაზე უმცროსი იყო. რა გაეწყობოდა, მოემზადა და გაუდგა გზას. თავიდან კარგად მიდიოდა საქმე. მაგრამ თანდათან უჭირდა. ტრასა გართულდა, დამრეცი კედელი უარყოფით დაქანებაში გადავიდა. უთოკოდ, უმეწყვილოდ უარყოფითი კედლის დაძლევა საერთოდ შეუძლებელია. რა უნდა ქნას? უკან გაბრუნდეს? ათასი უცხო თვალი მისჩერებია და რას იტყვიან?

— უცბად ვიგრძენი რომ იმ წუთში საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი. გამახსენდნენ დაბლა დარჩენილი ამხანაგები. თვალწინ წარმომიდგა ჩემი სამშობლო. არ უნდა შემერცხვინა იგი. ,,რაც იქნება, იქნება-მეთქი, — გავიფიქრე გუნებაში და ერთხელ კიდევ მოვაფათურე ხელი კლდის სიპ ზედაპირზე, ალალბედზე აღმოვაჩინე პატარა ღრეჩო — თითის ჩასავლები ადგილი. შუა თითით ჩამოვეკიდე ზედ და ერთი ნაბიჯით წავიწიე. მერე ისევ ფათური, ისევ ძებნა და.. მას მერე ღრმად მწამს: ცხოვრებაში მართლაც ხდება სასწაულები..

ზღვა მაყურებელი გაოცებული შესცქეროდა საბჭოთა სპორტსმენის ბრწყინვალე ტრიუმფს. კმაყოფილნი იყვნენ მიხეილის ამხანაგებიც, მათ საკუთარი ყურით გაიგონეს, როგორ აღმოხდა ინგლისის დედოფალს აღტაცებისაგან: ,,აი, ნამდვილი კლდის ვეფხვიო.“

,,კლდის ვეფხვი“ — აიტაცეს ჟურნალისტებმა; ,,კლდის ვეფხვი“ — მთელს მსოფლიოს მოედო... საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილ მოსაწვევ ბარათებსა და წერილებში ადრესატის სახელისა და გვარის გასწვრივ ყოველთვის აწერია ხოლმე ზედმეტი სახელი: ,,კლდის ვეფხვი“.

— კავკასიონის ეპიზოდიც ერთ-ერთი მძიმე მომენტია ჩემს ცხოვრებაში. ეგრეთწოდებულ ,,უშბის სარკეზე“, მანამდე კაცის ფეხი რომ არ დაჰკარებოდა, ექვსი მთამსვლელი ვიყავით გაკრული. სამი დღე ვქსელავდით კედელს და ვერა და ვერ დავიმორჩილეთ. განსაკუთრებით ბოლო დროს გაგვიჭირდა. ვერც წინ მივიწევდით, ვერც უკან, გავიჩხირეთ. უარყოფითი, ქვაბივით გადმომხობილი კლდე უნდა დაეძლია რომელიმე ჩვენთაგანს, თავზე მოჰქცეოდა და თოკი ჩამოეშვა. სწორედ მაშინ გამომადგა ინგლისში მიღებული გამოცდილება — კვლავ შუათითზე დავეკიდე, რამდენიმე ნაბიჯი მოვინაცვლე, მაგრამ მალე კედელი მოჭიქულივით გახდა, მე აღარაფერი მაკავებდა და სასოწარკვეთილმა დავიღრიალე: თოკები შეიხსენით, თოკები-მეთქი.

მაგრამ ვინ გამიგონა!

— სადაც შენ... ჩვენც — იქა...

ამომძახეს ქვევიდან... თოკები ჩაბღუჯეს, მაგრად დადგნენ და შეემზადნენ ჩემს დასაჭერად.

ეს იყო ფორმალური, უიმედო ღონისძიება, ინსტიქტური რეაქცია, მთამსვლელური კანონებისადმი ერთგულების გამოვლინება. ,,წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ ისინიც უკანასკნელ მოვალეობას იხდიდნენ ჩემს წინაშე. ამ დროს მე ათიოდე ნაბიჯით ვიქნებოდი მათგან დაშორებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოცი მეტრი მაინც უნდა მეფრინა ჰაერში. ოცი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილ კაცს შეაკავებდა კედელზე სამსანტიმეტრიანი პალოებით მიჭედილი, თოკებზე მოქანავე ხუთი ადამიანი?! (მათი სიცოცხლე ხომ ისედაც ბეწვზე ეკიდა). ესე იგი, ჩვენი ჯგუფიდან ამბისმთხრობელიც აღარ დარჩებოდა. ამის გაფიქრებამ აღმაგზნო, ერთხელ კიდევ მოვსინჯე ზედაპირი და დღესაც მიკვირს, როგორ შევიმაგრე თავი, რა უხილავმა ძალამ შემაკავა — ნაპრალის, ნაჩხვრეტის მსგავსი იქ არაფერი იყო.. ამიტომაც ვამბობდი, სასწაულებისა მჯერა-მეთქი, მე დღემდე ვერ ამიხსნია უშბის სასწაული.

ისე, მძიმე წუთები მთამსვლელისათვის ჩვეულებრივი ამბავია. და თუკი კაცმა ბოლომდე შეინარჩუნა საღი აზრი და გონიერება, დარწმუნებული ვარ, ყოველგვარი განსაცდელიდან გამოვა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, არსებობს მეორე მომენტი — გამარჯვება, ყველაზე წმიდათა-წმიდა სიტყვა, ყველაზე დიდებული განცდა. სწორედ მწვერვალზე შემომდგარ ადამიანზე უნდა თქვან, ,,ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნადო...“

ჩვენი სპორტული ბრძოლა გრძელდება. ბრძოლა ვაჟკაცური და შეურიგალი...



საოცარია მთა: შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოცილდები.., მთამსვლელთა ჯგუფი ახალი იერიშის წინ. წინა პლანზე: მარცხნიდან მარჯვნივ — მიხეილ ხერგიანი და შალიკო მარგიანი.

# ალალ ნაშოვნი ფული

(ნორვეგიული ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, ერთი მივარდნილი სოფლის ბოლოზე, პატარა ფარღალალა ქოხში ცხოვრობდა ერთი ღარიბი ქვრივი თავისი შვილით. საჭმელი მათ არ ჰქონდათ და სასმელი! შიოდათ და სციოდათ საბრალოებს!

ერთხელ დედამ უთხრა შვილს, წადი ტყეში, ფიჩხი მოიტანე, იქნება ცოტა მაინც გავთბეთო.

გვიანი შემოდგომა იყო და გვარიანად ციოდა. საბრალო ბიჭუნას ხელები ჭარხალივით დაუწითლდა და ჩააგდებდა თუ არა კალათაში ფიჩხს, ხელისგულებს ერთმანეთს უტყაპუნებდა, — იქნება ცოტა გავითბოო. ბოლოს, როცა კალათი გაავსო და შინ წასვლა დააპირა, ნაკაფში თეთრი, გამოფიტული ქვა შენიშნა.

— ეჰ, შე საბრალო თეთრო ქვაო! როგორ გაფითრებულხარ, სიცივისაგან მთლად გათოშილხარ! — შეებრალა ბიჭს თეთრი ქვა და თავისი ქურთუკი წააფარა.

სიცივისაგან მთლად აკანკალებული ბიჭი როცა შინ მივიდა, გაოცებულმა დედამ ჰკითხა: ამ ყინვაში ხალათისამარა ტყეში რამ წაგიყვანაო, მაგრამ როცა ბიჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო, მაშინ კი გაჯავრდა დედა; ვაჰ, შე მართლა სულელო! სად გინახავს, სად გაგიგონია, რომ ქვები იყინებოდეს? ესეც არ იყოს და, ის ქვა მართლაც რომ გათოშილიყო, ხომ გაგიგონია, ჯერ თავო და თავოო. ჩვენს დროში ტანსაცმელი ისეც ძვირად ფასობს და შენ ქვებს აფარებ? გასწი და ახლავე აქ მოიტანე შენი ქურთუკი!

დაღონდა ბიჭი, მაგრამ აბა რას იზამდა, დედის სიტყვას წინ ხომ ვერ აღუდგებოდა, ადგა და ისევ იმ ქვასთან მივიდა ნაკაფში. მივიდა და რას ხედავს: თეთრი ქვა შებრუნებულა და ოდნავ წამოწეულა კიდეც.

— ეჰ, შე საბრალო, ალბათ რომ გათბი, მხარიც იმიტომ იცვალე, არა?

მაგრამ, ცოტა კარგად რომ დააკვირდა, ლოდის ქვეშ წკრიალა ვერცხლის ფულებით სავსე ყულაბა შენიშნა. „უთუოდ ნაქურდალია, თორემ, აბა ვინ დამალავს ტყეში ლოდის ქვეშ ალალად ნაშოვნ ფულს?“ — გაიფიქრა ბიჭმა, აიღო ყულაბა და იქვე ნაკაფთან მოლივლივე ტბაში გადმოაპირქვავა. ერთი ვერცხლის ფული წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. ოჰო! — გაიოცა ბიჭმა. — ეს კი უთუოდ ალალად მოპოვებული ფულია და იმიტომ არ იძირება წყალში! — დაასკვნა ბიჭმა და ზედაპირზე მოტივტივე ფული დაიჭირა, აიღო თავისი ქურთუკი და შინისაკენ გასწია. შინ რომ მივიდა, დედას ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— აი, ჩერჩეტი! — გაჯავრდა დედა. — თუ იმ ფულებიდან მხოლოდ ეს ერთი იყო პატიოსანი გზით ნაშოვნი, მაშინ ამ ქვეყანად პატიოსნებაც ცოტა ყოფილა. ის ფული ათგზის ნაქურდალიც რომ ყოფილიყო, რაში გენაღვლებოდა! შენ ხომ იპოვნე, წამოგეღო შინ და ჩვენც არხეინად ვიცხოვრებდით! „ჯერ თავო და თავოო“ — რით ვერ შეიგნე? უჭკუო იყავი და უჭკუო დარჩი! აღარ შემიძლია შენი ატანა, გასწი და გამეცალე, დღეიდან თვითონ ირჩინე თავი!

დაღონდა ბიჭი, მაგრამ აბა რას იზამდა! აიკრა გუდანაბადი და წავიდა, — იქნება სამუშაო ვიშოვნო რამეო. მაგრამ დახეთ უბედობას, — საცა არ მივიდა, ყველგან უარს ეუბნებოდნენ სუსტი ხარ და პატარაო, ბოლოს ერთ ვაჭრის სახლს მიადგა. ვაჭარს შეებრალა პატარა ბიჭი და თავის მზარეულს მიუყვანა, — წყლისა და შეშის მომტანად იყოლიეო.

ერთხელ ვაჭარი ზღვის იქითა ქვეყანაში გაემგზავრა სავაჭროდ. წასვლის წინ მსახურები მიიხმო და ჰკითხა: რა ჩამოგიტანოთ უცხო ქვეყნიდანო. ყველამ თავისი უთხრა და ბოლოს რიგი იმ ბიჭზეც მიდგა. ბიჭუნამ მოკრძალებით ვაუწოდა თავისი ვერცხლის ფული.

ვაჭარს გაეცინა და ჰკითხა:

— რა გიყიდო? განა ამ ფულით რაიმეს ყიდვა შეიძლება?

— რაც მოგივათ, ის მიყიდეთ. ეს ფული ალალი გზით არის ნაშოვნი! — მიუგო ბიჭმა.

გადაცურა ვაჭარმა ზღვა. მივიდა უცხო ქვეყანაში. თავისი საქონელი გაყიდა, ახალი შეიძინა, მსახურებსაც შეუსრულა გულის წადილი, ავიდა გემზე და ის იყო აფრა უნდა აეშვა, რომ უცებ პატარა ბიჭის ფული მოაგონდა. „ეჰ, — ნუთუ ამისათვის ისევ უნდა გავიდე ქალაქში? სისულელეა!“ — გაიფიქრა ვაჭარმა და, ამ დროს, სად იყო და სად არა, ერთმა ტომრიანმა დედაბერმა ჩამოიარა

— დედი, რა გაქვს ტომარაში? — ჰკითხა ვაჭარმა.

— კატა და მეტი არაფერი! — აგდებულად უპასუხა დედაბერმა. — კატისათვის კი არა, ჩემთვის ვეღარ ვშოულობ საჭმელს და ამიტომ ზღვაში მინდა გადავისროლო.

„ბიჭმა ხომ მთხოვა. ამით ის მიყიდე, რასაც მოგცემენო“ — გაიფიქრა ვაჭარმა და დედაბერს გასძახა: — ერთ ვერცხლის ფულს მოგცემ და ეგ კატა დამითმეო.

დედაბერი სიხარულით დასთანხმდა.

აიყვანა ვაჭარმა კატა გემზე და აფრაც აუშვეს. ის იყო გემი გავიდა ზღვაში, რომ უცებ ქარიშხალი ამოვარდა, აბობოქრებული ზღვის ტალღები ნაფოტივით ისროდა გემს აქეთ-იქით. ბოლოს, როგორც იყო, დაწყნარდა ზღვა და ვაჭრის გემი სრულიად უცხო მხარეში გარიყული აღმოჩნდა. ვაჭარი აბა რის ვაჭარი იქნებოდა, თუ ქალაქში არ გავიდოდა და დუქნებს არ დაივლიდა. ჰოდა, გავიდა თუ არა ქალაქში, ერთ სამიკიტნოში შევიდა და გაოცდა: ყველა მაგიდაზე, თეფშებთან ერთად, როზგებიც ელაგა, „ყველა ყველა და, ეს როზგები ნეტა რაღად უნდათო“ — ფიქრობდა ვაჭარი და ყველაფერს მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა მუშტრებს კერძი მიუტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს. ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რის მსგავსი რამ ვაჭარს მანამდე არა თუ ენახა არც კი გაეგონა: სად იყო და სად არა, უცებ ხვრელებიდან უამრავი თაგვი გამოძვრა. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — მუშტრებს შიგ ჯამებში უხტებოდნენ თაგვები და საჭმელს სტაცებდნენ. არც მუშტრები დახვდნენ გულხელდაკრეფილები, — წამოავლეს როზგებს ხელი და მალე შხუილისა და ლაწანის მეტი აღარაფერი ისმოდა. ზოგჯერ უხეიროდ მოქნეული როზგი მუშტრებსაც ხვდებოდა და, მაშინ... მაშინ კი ერთმანეთს ზრდილობიანად ეუბნებოდნენ: — „ბოდიშს ვიხდით ბატონო".

„ეს ხალხი დიდ გასაჭირში ყოფილა" — გაიფიქრა ვაჭარმა და მერე ხმამაღლა იკითხა: კი მაგრამ, რატომ არ შეიძენთ კატას?

— კატას?! — გაიოცეს სამიკიტნოში, — რა არის კატა?

— ერიჰაა! — გადაიქნია თავი ვაჭარმა. მერე ადგა და ბიჭისათვის ნაყიდი კატა მოიყვანა. თაგვებმა თავიანთი დაუძინებელი მტერი რომ დაინახეს, შეშინდნენ და ერთბაშად სადღაც გადაიკარგნენ. სამიკიტნოს მუშტრებმა შვებით ამოისუნთქეს და იმ დღეს პირველად ისადილეს მშვიდად. ასეთი სიკეთისათვის ვაჭარს მადლობა გადაუხადეს და ბოლოს შეეხვეწნენ, ეგ კატა მოგვყიდეო. ვაჭარი უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა და კატის საფასურად ასი ტალერი* მოითხოვა. იმ ქვეყნის ხალხმა სიხარულით გადაიხადა ასი ტალერი და თან ასი მადლობაც ზედ დაამატა.

მალე ვაჭარი ისევ გაუდგა თავის გზას. ის იყო გემი ზღვაში გავიდა, რომ გაოცებულმა ვაჭარმა ანძაზე წამოსკუპებული ის კატა შენიშნა, სამიკიტნოში რომ გაყიდა.

სულ მალე პირვანდელზე უფრო ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. აბობოქრებული ზღვის ტალღები ნაფოტივით ათამაშებდა გემს და ახლა სხვა, უცხო ქვეყანაში გარიყა. ვაჭარი აქაც გადმოვიდა გემიდან და სამიკიტნოს მიაშურა, შევიდა შიგ და, ჰოი, საკვირველებავ! ვაჭარმა აქაც როზგებით შეიარაღებული მუშტრები დაინახა. „უთუოდ ამათაც არ იციან კატის ყადრი" — გაიფიქრა და ის კატა ახლა ორას ტალერად გაყიდა, ზედ ასი მადლობაც მიიღო და გემზე დაბრუნდა. ის იყო აფრა უნდა აეშვათ, რომ ვაჭარს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა; მეორედ გაყიდული კატა ისევ იმ ანძაზე წამოსკუპებული დაინახა.

მოსცილდა გემი ნაპირს და, დახეთ საოცრებას — ისევ აბობოქრდა, აზვირთდა ზღვა და ტალღებმა ახლა სულ სხვა ქვეყანაში გარიყა გემი! ვაჭარი ჩვეულებისამებრ გადმოვიდა ნაპირზე, გასწია სამიკიტნოსაკენ, და, ბიჭოს! აქაც, ყველა მაგიდაზე როზგები დაინახა. ვაჭარმა ისევ მოიყვანა გემიდან კატა და ამ ქვეყნის მცხოვრებლებმაც შვებით ამოისუნთქეს, — იმ დღეს პირველად ისადილეს ადამიანურად და მერე ვაჭარს სთხოვეს, — კატა დაგვითმეო.

დიდხანს უარობდა ვაჭარი. მაგრამ ბოლოს დათანხმდა და კატის საფასურად სამასი ტალერი მოითხოვა. გაწამებულმა ხალხმა სიხარულით გადაიხადა სამასი ტალერი და ზედ სამასი მადლობაც დაამატა.

ბოლოს, როცა ზღვა დაწყნარდა, ვაჭარი ისევე თავის გზას გაჰყვა. „ბიჭოს!" — ფიქრობდა გაოცებული ვაჭარი. — ეს რამდენი ფული გააკეთა იმ ერთმა ვერცხლის ფულმა! რა გაეწყობა, ცოტა ბიჭსაც უნდა ვუწილადო, სულ ცოტა... ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კატა მე ვიყიდე და, მეორეც იმიტომ, რომ — „ჯერ თავო და თავოო..."



ვაჭარმა ვერც კი მოასწრო ამის გაფიქრება, რომ საშინლად აღელდა და აბობოქრდა ზღვა. ყველას ეგონა, სადაა გემი დაილეწება და ჩვენც დავიღუპებითო. მაგრამ ბოლოს ვაჭარი მიხვდა: თუ ბიჭის ფულის მისაკუთრებაზე ფიქრს თავს არ გაანებებდა, ზღვა ისე არ დაწყნარდებოდა და მთლად ნაფოტებად აქცევდა გემს. შეშინდა ვაჭარი და პირობა დადო, — უსათუოდ მივცემ ბიჭს თავის ფულსო. ზღვასაც ეს უნდოდა: მაშინვე დაწყნარდა, ქარიშხალიც ჩადგა და ვაჭარმაც უვნებლად მიაღწია თავის სამშობლოს. შინ რომ მივიდა, ბიჭს ექვსასი ტალერი გადასცა და თან თავისი ქალიშვილიც მიათხოვა, რადგან ახლა ის ბიჭი, შეშას და წყალს რომ ეზიდებოდა სამზარეულოში, ისეთივე მდიდარი გახდა, როგორც თვითონ ვაჭარი იყო.

გამდიდრებული ბიჭი უზრუნველად ცხოვრობდა, დედაც თავისთან მიიყვანა და სიყვარულს არ აკლებდა.

— არა მგონია მართალი იყოს, როცა ამბობენ ხოლმე, „ჯერ თავო და თავოო" — თქვა ბიჭმა.

მხატვარი ბ. სვეშნიკოვი

თარგმნა თ. ცაგარელმა.

*ტალერი — ნორვეგიული ფულის ერთეული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი პოეტის მეგობრობის ფურცლები

ისინი გორში სწავლობდნენ, იქ დამეგობრდნენ. ერთი ფშავიდან იყო, მეორე — შუა ქართლიდან, ერთს ლუკა რაზიკაშვილად იცნობდნენ, მეორეს — შიო ქუჩუკაშვილად. სიღარიბე და გაჭირვება ორივეს კვალში სდევდა, მაგრამ გაუტეხელი სულის წყალობით, ცოდნისა და პოეზიის სიყვარულით ყოველგვარ სიძნელეს სძლევდნენ. იმ ხანად ვინ იფიქრებდა, თუ ერთი მათგანი ქართული პოეზიის არწივი იქნებოდა, მეორე — ბავშვების გულის მესაიდუმლე, უბადლო მგოსანი, თუ ლუკა რაზიკაშვილი ვაჟა-ფშაველად მოევლინებოდა ქვეყანას, ხოლო შიო ქუჩუკაშვილი — შიო მღვიმელად.

ყმაწვილობაში დაწყებული მათი მეგობრობა შემდგომ პოეზიამ და სამშობლოს სიყვარულმა უფრო განამტკიცა. გული ორივეს წმინდა ჰქონდა, უანგარო, — ეს ღირსება კიდევ უფრო აღუღლაბებდა მათს მეგობრობასა და ძმობას.

განათლებამიღებულ ვაჟა-ფშაველას სამუშაოდ დიდხანს სხვაგან არ დაუდგა გული და საბოლოოდ მთას დაუბრუნდა — მშობლიურ სოფელ ჩარგალს ეწვია, მამისეული კერა არ გააცივა, ხნავდა, თესავდა, ნადირობდა, ოჯახს უვლიდა. როცა წერის სურვილი მოეძალებოდა, გამოეთიშებოდა ხოლმე ოჯახურ საქმეებს და წერდა და წერდა, რასაც გული და შთაგონება უკარნახებდა.

შიო მღვიმელი თბილისში დამკვიდრდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მუშაობდა. ლიტერატურული შემოქმედებისათვის კი მხოლოდ ღამით პოულობდა დროს, მაშინ წერდა ლექსებსა და პოემებს შთაგონებითა და სიკეთის შუქით შუბლგაბრწყინებული.

თუმცა ვაჟა ფშავში ცხოვრობდა და შიო — თბილისში, გულისა და გონების თვალით ისინი ყოველთვის ხედავდნენ ერთმანეთს და თავსაც ერთმანეთთან ახლოს გრძნობდნენ.

როცა ვაჟა-ფშაველა თბილისში ჩამოდიოდა, ორი კვირით მაინც რჩებოდა. თან ახალ ნაწარმოებებს ჩამოიტანდა ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. ბინას თბილისში მომუშავე თავის უმცროს ძმასთან — სანდრო რაზიკაშვილთან იდებდა. აი, მაშინ უნდა გენახათ; ვაჟა და შიო რა სიყვარულით ხვდებოდნენ ერთმანეთს, რა გულითადად მასლაათობდნენ.

თბილისში ვაჟა-ფშაველას ჩამოსვლა ყველა მის მეგობარს ახარებდა. შიო მღვიმელის გარდა, ვაჟას მეგობრები სხვებიც იყვნენ: იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, ია ეკალაძე და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი იმდროინდელი მოღვაწენი. მეგობრები ხან აქ იყრიდნენ თავს და ხან იქ, სადაც კი მოუხერხდებოდათ. საუბრობდნენ სამშობლოზე, მწერლობაზე, თვალს ავლებდნენ წარსულსა და აწმყოს, ოცნების თვალით მომავლისაკენაც გაიხედავდნენ. თუ რომელიმე მათგანი მომავალზე ხელჩაქნევით იტყოდა რამეს, ვაჟა შეუტევდა: — წუწუნი არ გამაგონო, გული რად გაგტეხიაო. შიო მღვიმელს ახარებდა მომავლისათვის ვაჟას თავგამოდება.

ვაჟა-ფშაველა გულს კარგად რომ იჯერებდა თბილისში ყოფნით, ისევ ფშავისაკენ მიმავალ გზას გაუყვებოდა.

თბილისში დარჩენილი შიო მღვიმელი კი ისევ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ფუსფუსებდა. იგი წიგნების გამყიდველიც იყო, პროვინციაში დამკვეთთათვის ახალი გამოცემების გამგზავნიც, ანგარიშების შემდგენიც და, ერთი სიტყვით, ბევრი საქმე ჰქონდა მაღაზიაში და ხშირად შვებულები-

თაც ვერ სარგებლობდა, წუხდა, რომ მთელ დღეს მალაზიაში ატარებდა და შემოქმედებისათვის ცოტა დრო რჩებოდა.

წუხდა მთაში მყოფი ვაჟა-ფშაველაც. — როცა ვხნავ, — ამბობდა იგი, — ლექსებზე ვფიქრობ, როცა ლექსებს ვწერ, ოჯახის საქმეები მაფიქრებს, ხან ერთი მიშლის ხელს და ხან მეორეო. მაგრამ, ნიჭს მაინც თავისი გაჰქონდა: სძლევდა ხელის შემშლელ პირობებს, და მისი შეუპოვრობის წყალობით იქმნებოდა პოეზიის ის მარგალიტები, რომლითაც ბრწყინავს ერთი მხრივ ვაჟა-ფშაველას და, მეორე მხრივ შიო მღვიმელის შემოქმედება.

შიომ კარგად იცოდა, თუ რა დიდი პოეტური ძალის მქონე იყო ვაჟა-ფშაველა, რა დიდ სიმაღლეებზე ფრენდა პოეზიაში და საბავშვო მწერლობაშიც. მას ეამაყებოდა, ახარებდა მეგობრის წარმატება და სიდიადე.



ასევე კარგად ესმოდა ვაჟასაც, თუ რა ძვირფასი საუნჯეა შიოს შემოქმედება ბავშვებისათვის და რა მაცოცხლებელი წყაროა ნორჩების სულისა და გულისა.

მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში შიო მღვიმელის ნიჭსა და შემოქმედებაზე საგულისხმო არაფერი იწერებოდა და ამას კი ველარ ურიგდებოდა ვაჟა. ბოლოს ძლიერ გაიხარა, როცა 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში" მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის წერილი წაიკითხა შიო მღვიმელის ფასდაუდებელ მოღვაწეობაზე. ეკატერინე წერდა: „ოცდაათი წელიწადია, რაც შიო შეუნელებლივ აბნევს მარგალიტებს პოეზიისას ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში და ყოველი პატარა მკითხველი თავისი საყვარელი ჟურნალის მიღებისთანავე პირველად ბიძია შიოს ლექსებს ეწაფება". მწერალი ქალი აცნობდა საზოგადოებას, რომ ეს პატარა მკითხველები აპირებენ პატივი სცენ „ყმაწვილთა გულთამხილავ" პოეტს — სალიტერატურო დილა მოუწყონო. ეკატერინე მოუწოდებდა დიდსა და პატარას, დავესწროთ ამ დილას და გავახაროთ ღვაწლმოსილი შიო მღვიმელიო.

ეკატერინე გაბაშვილის ამ წერილით დიდად ნასიამოვნებმა ვაჟამ არ დააყოვნა და იმავე გაზეთ „სახალხო ფურცელში" წერილი გამოაქვეყნა ბავშვების გონივრულად აღზრდის საქმეში, შიო მღვიმელის პოეზიის დიდ მნიშვნელობაზე. წერილში ვაჟა-ფშაველა ბევრის გასაგონად ამბობდა: „ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს.. არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი". ვაჟა ასეთი ღვთიური ნიჭით მირონცხებულ და სულით მდიდარ პოეტად შიო მღვიმელს სთვლიდა. ვაჟა გულისტკივილითაც აღნიშნავდა: ის, რაც მამაკაცებს უნდა გვეთქვა შიო მღვიმელზე და მის სასარგებლოდ დილის გამართვაზე, პატივცემულმა მანდილოსანმა დაგვასწრო და თქვაო; ჩვენ მამაკაცებს მეტი რა დაგვრჩენიაო, სიამოვნებით უნდა გავეშუროთ შიო მღვიმელის დილაზე და პატივი ვცეთ ერის ბედნიერებისათვის სიკეთის მთესველ მგოსანსო.

ვაჟა-ფშაველას ხმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიო მღვიმელისათვის. მან, ეკატერინე გაბაშვილთან ერთად, საზოგადოებრივ აზრს ასამოძრავებლად უბიძგა. მალე ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შიო მღვიმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამშუქებელი წერილები გამოჩნდა. დაიწყო მზადება შიოს უანგარო ღვაწლის ღირსეულად დაფასებისათვის. საიუბილეო დილა 1915 წლის მარტში უნდა გამართულიყო თბილისში. შიოც შეუდგა თადარიგს ამ დღისათვის. მას მეგობრების დახმარება ესაჭიროებოდა. მეგობართაგან ყველაზე დიდი ძალისა და სახელის მქონე ვაჟა-ფშაველა იყო და გვერდში მისი ამოდგომა დიდ რამეს ნიშნავდა. 1915 წლის 17 მარტს შიომ წერილი გაუგზავნა მთაში მყოფ ვაჟა-ფშაველას:

„ძმაო ვაჟა!
მეგობრულ სალამს მოგიძღვნი
ბარიდან მაღლა მთაშია,
ახლა მჭირია, მე ვეფხო,
შენი მოდგომა მხარშია.
ჩამოდი, წამომაშველე
მძლავრი მარჯვენა მკაშია,
რომ აღარ დარჩეს ძმობილი
ზამთრისთვის კიდევ კარშია".

წერილში აღნიშნული იყო: დილა ან 27 მარტს გაიმართება, ან 29 მარტსო.

ვაჟა-ფშაველაც დატრიალდა. აბა, მხარში როგორ არ ამოუდგებოდა შიოს და საიუბილეო დილას როგორ არ დაუმშვენებდა! ამ საქმის ერთ-ერთი დიდი მოსურნე ხომ თვითონვე იყო! ვაჟამ ლექსიც გაამზადა ამ დღისათვის. მაგრამ დახეთ უბედურებას: შიო მღვიმელის საიუბილეო დილის გამართვა ერთი წლით გადაიდო.

არა თუ ერთი წელი, ხშირად ერთი დღეც კი მოულოდნელობით არის აღსავსე. 1915 წლის მარტში შიო რომ სწერდა სოფლად მყოფ ვაჟა-ფშაველას: ახლა მჭირია მე, ვეფხო, შენი მოდგომა მხარშიო, — ეს ვეფხი იმავე წლის ზაფხულში ეწვია თბილისს, მაგრამ იგი ის ვაჟა აღარ იყო, თავისი ომახიანი ხმით და სიტყვა-პასუხით მხნეობა და ხალისი რომ შეჰქონდა მეგობრების წრეში. ვაჟა გამხდარი, გაფერმკრთალებული და დაუძლურებული მოევლინა თბილისს. მისი სნეულება იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დადებულმა ვაჟას ჯანმრთელობამ არა თუ მეგობრები, მთელი ქართველი საზოგადოება შეაშფოთა. ადვილი წარმოსადგენია, რა წუხილი შეიპყრობდა შიოს, ვისთვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ვაჟა მეგობარიც იყო, იმედიც და პოეტური შთაგონებაც.

საავადმყოფოში მყოფ ვაჟას ყველა თავს დასტრიალებდა: ექიმები, მეგობრები, ნათესავები. შიო ხომ ყოველდღე ავადმყოფთან იყო და ხედავდა, მთის შვილს მთისკენ როგორ მიუწევდა გული და წუხდა, რომ ადგილიდან მისი დაძვრა არ შეიძლებოდა. სიცხით გათანგულმა ვაჟამ ერთ დღეს მთის წყაროს წყალი მოინატრა. შიომ უმალ მიაშურა მთაწმინდას და იქ, კლდიდან გამომდინარე წყაროს წყალი სურით მოუტანა ავადმყოფს.

დიდი პოეტის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა.

ჩუმი დარდით შეპყრობილი დადიოდა შიო, მაგრამ ამ დარდმა დიდხანს მდუმარედ გაჩერება ვერ შეძლო და შიომაც ხმა ამოაღებინა მას — გულის შემძვრელი ლოცვავედრება ათქმევინა ბავშვებს:

„გრძნობა დიდი გვაქვს, უფალო,
უჩინარ-დაულეველი,
უზომოდ გვიყვარს ფრინველი
და მათ სახლ-კარი, ტყე-ველი.
უფრო ძალუმად შვლის ნუკრი,
დედისთვის ცრემლის მფრქვეველი,
მისი ობლობის ამწერიც,
ვაჟკაცი შეურყეველი.
ყველა ამას გთხოვთ, უფალო,
დიდი თუ თითის მტკაველა:
ბუნების მესაიდუმლე
გვიცოცხლე ვაჟა-ფშაველა“.

მაგრამ ბავშვების სამწუხაროდ, შიო მღვიმელისა და მთელი ქართველი ხალხის სამწუხაროდ, 1915 წლის 27 ივლისს ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა.

ვაჟას ავადმყოფობამ თუ ასე მწვავედ შეძრა შიოს გული, ვაჟას გარდაცვალება ხომ ლახვარი იყო, იმ გულში მოხვედრილი! მწუხარებით გაოგნებულმა შიომ ახლა თვითონ მიმართა ბავშვებს:

„ყრმებო, აღარ გვყავს ჩვენ ვაჟა,
ვაჟა იმ თბილი გულითა,
უხვად რომ გვაჯილდოებდა
ბუნების სიყვარულითა“.

მაგრამ იმ მწუხარების ჟამსაც შეძლო შიომ ეთქვა ბავშვებისათვის გამამხნევებელი, საჭირო სიტყვა: მართალია, ვაჟა გარდაიცვალა, მაგრამ თქვენი მეცადინეობითააყვავეთ ის დიდი ადამიანობა და აზრი, რაც ვაჟას ჰქონდა; დაეწაფეთ ვაჟას სიბრძნის წყაროს, მის სიმშვენიერეში იგრძენით სიმშვენიერე სიცოცხლისა და ბუნებისა, როცა ასე მოიქცევით, მაშინ თქვენს გულში ვაჟა-ფშაველა როდილა მოკვდებაო.

შიო მღვიმელმა ქართველ ხალხთან, ქართველ ბავშვებთან ერთად დაიტირა ვაჟა-ფშაველა — ქართული პოეტური სიტყვის დროშა.

ზაფხულს შემოდგომა მოჰყვა. ზამთარი დადგა. 1916 წლის საახალწლო დღეებიც გავიდა. შიოს იუბილის მიძინებულმა სადღესასწაულო გრძნობამ და სურვილმა კვლავ გაიღვიძა. გაზეთები კვლავ ალაპარაკდნენ შიო მღვიმელზე და მისი სამწერლო მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დილის სამზადისზე.

1916 წლის 14 თებერვალს ეს იუბილეც გაიმართა.

ზეიმი დიდ, სახალხო დღესასწაულად იქცა. თბილისის სახაზინო (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის) თეატრი ვერ იტევდა შიოს პატივსაცემად მოსულ ხალხს, დიდსა და პატარას, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს.

შიო მღვიმელის კეთილდღეობისა და სიკეთის მოსურნე ვაჟა კიდევ უფრო გაიხარებდა, ამ ზეიმს რომ მოსწრებოდა. იგი ხომ მზად იყო, წინა წელს, შიოს საიუბილეო ზეიმზე სიტყვაც ეთქვა და ლექსიც წაეკითხა. რახან იუბილე გადაიდო, ვაჟამ ეს ლექსი კალამთან ერთად, მაშინ მაინც გადასცა შიოს. ეს ლექსი სწორედ ახლა, 14 თებერვალს ქვეყანას მოჰფინა გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“. და ასე, იუბილის დღეს, შიოს სადიდებლად მაინც გაისმა ვაჟა-ფშაველას ომახიანი ხმა:

„ბავშვთ გულის მესაიდუმლევ,
ჰშრომობ მღვიმეში ჩუმადა,
ბავშვების პირი და ლხენა
გულს მიგაჩნია წყლულადა.
მე როდი მომეწონება
სიტყვა ნათქვამი უმადა,
ამიტომ გკოცნი პირშია,
გადმოგეხვევი ძმურადა“.

ვაჟა-ფშაველა და შიო მღვიმელი დიდბუნებოვანი ადამიანები იყვნენ და მეგობრობაც დიდი, უანგარო ჰქონდათ, მრავალთათვის სანიმუშო და მისაბაძი.

**გიორგი კაჭახიძე**



### გაუმაძღარი ხე

ყველაზე გაუმაძღარი ხე მუხა გახლავთ. იგი ყოველდღე 85 ლიტრ წყალს სვამს. ვერხვი, მაგალითად, 66 ლიტრს სვამს, არყის ხე — 60-ს, ნაძვი — 13-ს ფიჭვი კი მხოლოდ — 9 ლიტრს.

### კენგურუ — ძიძა

რა შეუძლია კენგურუს? თურმე ბევრი რამ. ოღონდ საჭიროა მისთვის განათლების მიცემა. მსოფლიოში პირველი კენგურუს სკოლა მელბურნშია (ავსტრალია) გახსნილი. სკოლადამთავრებულებს, საშუალოსნებსაც კი, შეუძლიათ „ძიძობა“ გაუწიონ პატარებს, მათთან ფეხბურთი ითამაშონ. რაც შეეხება ფრიადოსნებს (მათ „დოქტორის“ ხარისხს ანიჭებენ), ისინი გაზონებსაც კი კრეჭავენ.



### 2100 წლის მელანი

ამას წინათ შვეიცარიის სამხრეთში რომაელი ლეგიონების მიერ ჩამარხული ბრინჯაოს განძეული აღმოაჩინეს. სხვა ნივთებს შორის სალაშქრო ბრინჯაოს სამელნეც იყო, რომელშიაც ცოტაოდენი მელანი აღმოჩნდა. 2100 წლის წინათ დამზადებულ მელანს კარგად შეუნარჩუნებია ფერი. როგორც გამოირკვა, „მარადიული“ მელნის შემადგენლობაში ბევრი კომპონენტი შედიოდა. მათგან, ჯერჯერობით, მხოლოდ ჭვარტლისა და ლარიქსის ფისი გამოიცნეს.

### ყველაზე სახიფათო პროფესიები

ბრაზილიის დამზღვევმა საზოგადოებამ, უამრავი სტატისტიკური მასალების საფუძველზე, გამოაქვეყნა ადამიანისათვის ყველაზე სახიფათო პროფესიების სია. პირველ ადგილზეა ფეხბურთის მსაჯის პროფესია, შემდეგ — ტაქსის შოფრის, ქორწინების აგენტის, სასამართლოს აღმასრულებლის, კერძო მაძებარის, რკინიგზის კონტროლიორის და ექიმბაშის პროფესიები.



რა არის ამ სურათზე გამოსახული. როდის და ვისი ინიციატივით არის იგი აგებული. ვის სახელთან არის დაკავშირებული ამ შენობის ისტორია. რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მას ქართული კულტურისათვის.

## პასუხი № 2-ში მოთავსებულ კითხვებზე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის — საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შენობის მშენებლობა 1934 წელს დაიწყო და 1938 წლის მაისში დამთავრდა. შენობის არქიტექტორია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი საბჭოთა არქიტექტორი — ა. შჩუსევი, ფასადის ბარელიეფის ავტორი კი — თ. აბაკელია. შენობაში მოთავსებულია რესპუბლიკის იდეოლოგიური დაწესებულებები და ინსტიტუტები, კერძოდ, სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი — საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი; სკკპ ცკ-თან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი, საქართველოს კპ ცკ-ისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საპრობლემო საკითხების შესწავლაში, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პროპაგანდისა და იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

შენობაში მოთავსებულია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი პერიოდის განყოფილება, რომლებიც ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის ცალკეული საკითხების შესწავლის დარგში.

იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?
იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?
იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოში გავრცელებული სოკოები

ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, სოკო რომ არ ენახოს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი გამოცნობა. საქართველოში 100-ზე მეტი სახეობის საჭმელი სოკო იზრდება, შხამიანი სოკო კი 15-მდეა, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი ძალიან ჰგავს საჭმელ სოკოს და შესაძლებელია ისინი ერთმანეთში აგვერიოს. ხალხში გავრცელებულია შეხედულება, რომ თითქოს, თუ ვერცხლის კოვზს ან ხახვის ბოლქვს ჩავაგდებთ იმ ქვაბში, სადაც სოკოს ვხარშავთ, თუ სოკო შხამიანია, ვერცხლის კოვზი გაშავდება, ხოლო ხახვის ბოლქვი გაყვითლდება ან გალურჯდება. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ თუ სოკო გადატეხისას ფერს შეიცვლის, — შხამიანია; ზოგის აზრით კი, ის სოკოები, რომლებსაც მწერები აზიანებენ (აჭიანებენ), საჭმელია, ხოლო რომლებსაც არა, — შხამიანია. ყველა ეს შეხედულება მცდარია, უსაფუძვლოა.

იმისათვის, რომ გავიგოთ სოკო შხამიანია თუ არა, უნდა ვიცოდეთ მისი გარეგნული აღწერილობა.

შევისწავლოთ საქართველოში გავრცელებულ სოკოთა ზოგიერთი ჯიში. პირველ სურათზე მოცემულია ყველასათვის კარგად ცნობილი ქამა სოკო. მისი ქუდის ზედა მხარე თეთრი, ნაცრისფერი ან მურა ფერისაა. სოკოს ამობურცული ზედაპირი კრიალაა ან ქერცლებით არის დაფარული, ქუდის ქვედა მხარეს განლაგებულია რადიალურად განვითარებული ფირფიტები, რომლებიც ნორჩობაში ვარდის ფერია, შემდეგ თანდათან მუქდება (თითქმის ყავისფერი ხდება) და, ბოლოს, — შავდება. ფირფიტებს დასაწყის სტადიაში აპკი აქვს გადაკრული, შემდეგ ეს აპკი სკდება და ფეხზე საყელოსავით შემორჩება ხოლმე. ფეხი თეთრია, სწორი და ცილინდრული. ამ სოკოს ხორცი (რბილობი) გადატეხისას ვარდისფერდება, სასიამოვნო სუნი აქვს. მისი შეგროვება ადრე გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე შეიძლება ბაღებში, ბოსტნებში, ეზოებში და ნაკელიან ადგილებზე. კერძისათვის მხოლოდ ნორჩი, მატლებისაგან დაუზიანებელი სოკო იხმარება, ისეთი, რომელსაც ფირფიტები ჯერ გაშავებული არა აქვს (შეიძლება მოვხრაკოთ, ან შევწვათ).

საქართველოში გავრცელებულია ქამა სოკოს რამდენიმე სახეობა: ტყის ქამა, მინდვრის ქამა და სხვა. ქამას და ე. წ. ორსპორიან ქამას ხელოვნურადაც ამრავლებენ სპეციალურ სარდაფებში ან მიტოვებულ შახტებში.

ქამას რამდენიმე შხამიანი სოკო ჰგავს და, ამიტომ, უნდა ვიცოდეთ მათი გამოცნობა. ჩვეულებრივ ქამას ძალიან ჰგავს ე. წ. ყვითელკანიანი ქამა, რომელსაც ფეხის ძირის გადატეხისას რბილობი უყვითლდება და კარბოლმჟავას სუნი აქვს. იგი იზრდება ბაღებსა და პარკებში. ყველაზე ძალიან კი ქამას ცრუ ქამა ჰგავს

## ლატვიური იუმორი

**მასწავლებელი:** ბავშვებო, თქვენ უკვე დიდიხანია იცით, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

— კი მაგრამ, რაღას შვრება დედამიწა ღამით, როცა მზე ჩადის? — იკითხა ერთმა მოსწავლემ.

●

მასწავლებელმა პატარა კარლს ჰკითხა:

— რამდენი იქნება, შვიდი რომ შუაზე გავყოთ?

„აი ხათაბალა! — გაიფიქრა კარლმა, — სამს იტყვი — ცოტაა, ოთხს იტყვი და, — ბევრი გამოვა!“

●

**იანი:** ქუჩაში ცივა, ჩრდილოეთის ქარი ქრის.

**ანიტა:** ჩრდილოეთის ქარი ყოველთვის ცივია?

**იანი:** კი, ყოველთვის ცივია, რომელი მხრიდანაც არ უნდა უბერავდეს.

●

დ ე დ ა: ჩვენი დედალი კვერცხს აღარ სდებს, სჯობს დავკლათ.

შ ვ ი ლ ი: კი მაგრამ, მერე დასდებს?

●

— მე მივდივარ, შვილო, მიხედე, როდის ადუღდება რძე.

დედა რომ დაბრუნდა, რძე უკვე ჩამშრალიყო.

— შვილო, ხომ გითხარი, რძეს მიხედე, როდის ადუღდება-მეთქი.

— მივხედე, დედა, ზუსტად თორმეტ საათზე ადუღდა.

●

— დედა, რძეში თაგვი ჩავარდა.

— მერე, რა ჰქენი, ამოიყვანე?

— არა, კატა ჩავაგდე და ის ამოიყვანს.

●

მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთი ანდაზა აუხსნა: „სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო“.

მეორე დღეს მასწავლებელმა ბავშვებს გაკვეთილი გამოჰკითხა, მაგრამ ხმა არავინ ამოიღო.

— რატომ არ იძლევი პასუხს? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთ-ერთ მოსწავლეს.

— პატივცემულო მასწავლებელო, ოქრო ვერცხლზე ძვირფასია! — მიუგო მოსწავლემ.

ლატვიურიდან თარგმნა
ომარ გოგიჩაიშვილმა.

რომელიც ჩვეულებრივი ქამასაგან ქუდის ფორმით განსხვავდება (შუაში ჯერ ბორცვაკიანია, შემდეგ კი ჩაჭყლეტილი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება, მისი რბილობი მაერზე ფერს არ იცვლის და ფქვილის სუნი აქვს. სხვა მსგავსი სახეობები კი ფირფიტების თეთრი ფერით განსხვავდება.

ჩვენში ყველაზე გემრიელ სოკოდ ნიყვი ითვლება (სურ. 3). ნიყვი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მუხის, წიფლის და წაბლის ტყეებში. გვხვდება ივლისიდან ოქტომბრამდე; კერძად მხოლოდ ნორჩი იხმარება. ნიყვის შემჩნევა ადვილია, თავისი ნარინჯისფერ-ყვითელი ან ნარინჯისფერ-წითელი ქუდის გამო. ნიყვს ზოგჯერ ფართო, თეთრი ფიფქები ამშვენებს ზედაპირზე, ქუდის ქვედა მხარეს კი ყვითელი ფირფიტები აქვს. მისი ფეხი ყვითელია, განიერი, ყვითელი საყელო აქვს, ძირით კი ჩამჯდარია პარკისებრ წარმონაქმნში.

ნიყვს ძალიან წააგავს წითელი შხამა, მისი ქუდი უფრო კაშკაშა წითელი ფერისაა, ქუდის ზედაპირზე მეჭეჭისებრი წარმონაქმნები და თეთრი ფირფიტები აქვს; წითელი შხამას ფეხი თეთრია და ფუძეზე შემორტყმული აქვს სარტყლები, იზრდება წიწვიან და შერეულ ტყეებში; ძლიერ შხამიანია.

მთელ საქართველოში გავრცელებული ხეთა მხალი ანუ კალმახა სოკო. ზოგან წიფლის სოკოს ან ხის სოკოსაც უწოდებენ. ხეთა მხალი გემრიელი სოკოა, განსაკუთრებით კი თუ ახალი და საღია. გვხვდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, იზრდება ერთმანეთთან კრამიტისებურად დალაგებულ ჯგუფებად, როგორც ფოთლოვან, ისე წიწვიან, გამხმარ და დამპალ ხეებზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება გაზაფხულობით გამხმარ წიფელზე.

ხეთა მხალის ქუდი გვერდითია ან ექსცენტრული, ზედა ზედაპირი ტიტველია და შეფერილია მოთეთრო-მურა ფერით. ფეხი, უმრავლეს შემთხვევაში არა აქვს და, თუ აქვს, მაშინ ის ქუდზე გვერდიდან არის მიზრდილი; ფეხის ძირი თეთრია და მიმაგრების ადგილას ბუსუსიანია. ქუდის ქვედა მხარეს თეთრ ან ოდნავ მოყვითალო ფეხს ძირისკენ მიმართული მარაოსებურად განვითარებული ფირფიტები ახასიათებს.

საჭმელი სოკო მანჭკვალაც ასევე ჯგუფებად იზრდება ცოცხალი, გამხმარი და დამპალი ხეების ძირებზე და ფესვებზე (შემოდგომიდან ზამთრის პირამდე). მისი ქუდი მონაცრისფრო-მოყვითალო ან მოყავისფროა, ცენტრში უფრო მუქია, ბრტყლად ამოზნექილია და შუაში ბორცვი აქვს, ზედაპირი დაფარულია ქერცლებით; ქუდის ქვედა მხარეს ფეხზე დაჭყვება თეთრი ფირფიტები, რომელიც შემდეგ მოყავისფრო-ყვითელი ხდება. ქუდი ძირისკენ უფრო სქელია, ფეხზე, ქუდთან საყელო აქვს შემოვლებული, საყელოს ზემოთ ფეხი თეთრია, ქვემოთ კი — ყავისფერი და ბოჭკოიანი. კერძად გამოიყენება შემწვარი, მოხრაკული, დამწნილებული, დამუჟუჟებული და გამხმარი.

მანჭკვალას ძალიან ჰგავს შხამიანი სოკო — ცრუ მანჭკვალა; ისიც ხეებზე იზრდება ჯგუფებად და საერთო შეხედულებით მანჭკვალას მოგვაგონებს. ეს სოკო მომწვანო-მოყვითალო ან ყვითელია და შუაში მოწითალო ქუდი აქვს. მისი ფირფიტები ჯერ მომწვანოა, შემდეგ კი შავდება. ყურადღებით დაკვირვებისას ეს ორი სოკო ადვილად გაირჩევა ერთმანეთისაგან.

წიწვიან ტყეებში ზაფხულიდან შემოდგომის მიწურულამდე იზრდება ერთ-ერთი საუკეთესო საჭმელი სოკო მჭადა. ფიჭვნარებში მოზარდ მჭადას ნარინჯისფერი ქუდი აქვს, ხოლო ნაძვნარებში მოზარდს — მოლურჯომომწვანო ფერი გადაჰკრავს. ზედაპირზე კონცენტრული ზოლები ემჩნევა და ოდნავ ლორწოიანია. ფეხი ქუდისფერია, ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია მოყვითალო-ნარინჯისფერი ფირფიტე-

# თავშესაქცევი

## სახუმარო გამოცანები

1. იყო თუ არა ჩვენს საუკუნეში ისეთი წელი, რომელიც დაიწერება ციფრებით და, ეს ციფრები თავდაყირა რომ დავაყენოთ, მაინც იგივე წაიკითხება?

2. სამ მფრინავს ერთი ძმა ჰყავდა, მაგრამ თვითონ იმ ძმას ძმები არ ჰყავდა. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

3. ექვსი ფეხი, ორი თავი, ერთი კუდი. რა არის?

4. ვინ ლაპარაკობს ყველა ენაზე?



## თავსატეხები

აბა სცადე და ეს ცხრა რგოლი, ხელის ერთი მოსმით, ოთხი ტეხილი ხაზით დააკავშირე ერთმანეთთან.

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ვერტიკალურად: 1. ბორჯომი; 2. ისანი; 3. ანილინი; 4. ნუბია; 5. თიანეთი; 7. ერა; 8. ურო; 9 მარაო; 11. ფიალა; 15. რევიზია; 16. ასი; 17. სვე; 18. ანაკლია; 19. ასო; 20. ოლე; 23. ინი; 24. ბია; 25. უწერა; 26. ანისი; 28. ვენა; 30. ზონა; 32. ინცელი.

ჰორიზონტალურად: 7. კონსტიტუცია; 10. იმამი; 12. სალამო; 13. ეროზია; 14. ავარია; 17. სიარული; 21. ისლი; 22. კილო; 27. მწევარი; 29. ალაზანი; 31. ორანჟი; 36. ტუნისი; 37. რეპროდუქცია.

### იცი თუ არა შენ?

1. პლისკა; 2. 1949 წელს; 3. ლევი; 4. დუნაი; 5. შიპკა; 6. ვარნა.

1. ელბა; 2. მესამე, 1951 წელს, ბერლინში; 3. მარკა; 4. ლაიფციგი; 5. ბეთჰოვენი.

### აბა, სცადეთ!



ბი, რომლებიც ხელის მიკარებისას მწვანდება. რბილობი ნარინჯისფერია და ჰაერზე მწვანდება. გადატეხისას სოკო გამოჰყოფს ნარინჯისფერ სითხეს.

ფოთლოვან ტყეებში, ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, იზრდება არყა სოკო. მისი ქუდი თეთრია და ტიტველი, იგი ჯერ ამობურცული იზრდება, შემდეგ კი ძაბრისებრი ხდება. ქუდის ქვედა მხარეზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ვიწრო ფირფიტები აქვს. ახალგაზრდა სოკოს ფირფიტები ჯერ თეთრი აქვს, შემდეგ კი მოყვითალო ფერში გადადის. ფეხი თეთრია და მისი გადატეხისას გამოიყოფა თეთრი წვენი, რომელიც ჰაერზე მომწვანო-მოცისფრო ხდება. რბილობი და წვენი ძალიან მწარე და ცხარეა. ამიტომ, კერძის მომზადებამდე, წინასწარ საჭიროა მისი გათუთქვა 10 წუთი მაინც, სიმწარე და სიცხარე რომ გაუვიდეს.

საქართველოს ტყეებში მრავლად გვხვდება ხრაშუნა სოკოებიც. მათგან აღსანიშნავია ხახვილო, რომლის ქუდი მონაცრისფრო-მომწვანოა ან მოცისფრო-მომწვანო, ზედაპირი დახეთქილია და დაფარული აქვს მეჭეჭებით; ქვედა მხარეს მოთავსებული ფირფიტები და ფეხიც თეთრია. ხახვილო მომწვანო ფერითა და მეჭეჭებით ადვილი გასარჩევია სხვა ხრაშუნა სოკოებისაგან.

მთლად წითელი ქუდი ახურავს წითლიოს ანუ წითელკაბას. წითლიოს ქუდის ქვედა მხარეს თეთრი, მოყვითალო იერის ფირფიტები აქვს, ფეხი — თეთრი ან ვარდისფერი, რბილობი ოდნავ მომწვანოა.

საქართველოში ფოთლოვან და შერეულ ტყეებში გავრცელებულია საჭმელი სოკო მიქლიო მას ზოგიერთ კუთხეში ქათმის ბარკალასაც უწოდებენ. მიქლიო მკვრივი და მთლიანად ყვითელია, მისი თათისებურად დანაკვთული ტალღოვანკიდეებიანი ქუდი ნორჩობაში ამობურცულია და შემდეგ კი — ძაბრის ფორმისა ხდება. ქუდის ქვედა მხარეზე მოთავსებული მეჩხერად გაწყობილი, ორად დატოტვილი ყვითელი, ძარღვისებური ფირფიტები ფეხს ძირისკენ დაჰყვება, ფეხი — ძირისკენ წვრილდება.

საქართველოში გავრცელებულ სოკოთა შორის ყველაზე შხამიანი სოკო შხამაა, მას ხშირად თეთრ შხამასაც უწოდებენ (სურ. 18). მისი ჭამა უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის სიკვდილით მთავრდება, რადგან მოწამვლის ნიშნები ისე გვიან მჟღავნდება, რომ ავადმყოფის გადარჩენის არავითარი საშუალება აღარ არსებობს. შხამას ქუდი 7 — 11 სმ. დიამეტრისაა და თეთრი, ღია მწვანე, მოყვითალო მწვანე ან მწვანეა. შუაში მუქი ტიტველია, კიდეები სადა აქვს; ნორჩობაში ზარისებურია და გახვეულია თეთრ საბურველში, რომელიც მომწიფებისას სკდება და ფეხის ძირზე პარკივით წარმონაქმნად რჩება; ქუდის ქვედა მხარეს განლაგებულ თეთრ ფირფიტებს, ნორჩობაში გადაკრული აქვს აპკი, რომელიც მომწიფებისას სკდება და ფეხზე საყელოს სახით რჩება. ძირი თეთრი ან მომწვანო ფერისაა. ფეხი ძირისკენ თანდათან სქელდება. მისი თეთრი რბილობი განსაკუთრებული სუნითა და გემოთი არ გამოირჩევა. გვხვდება იშვიათად

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


**ქ. ჭილაშვილი** — ანძაზე ფრიალებს ალამი (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . 1
**შ. თეთვაძე** — კომკავშირი სამამულო ომის წლებში (წერილი) . . . . . . . . . . 4
**ვ. ჩეკურიშვილი** — გედეხაური (მოთხრობა) . . . 8
**ნ. ალადაშვილი** — ქართული ქანდაკება (წერილი) . 14
**ჯ. ნიქაბაძე** — არდადეგებზე (ლექსი) . . . . . . 18
**ნ. კვიცინია** — მძულს მარტოობა (ლექსი, აფხაზურიდან თარგმნა ო. კუპრავამ) . . . . . . . 19
**მ. ხერგიანი** — ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . 20
ალალად ნაშოვნი ფული (ნორვეგიული ხალხ. ზღაპ. თარგმნა თ. ცაგარელმა) . . . . . . . . . 24
**გ. კაჭახიძე** — ორი პოეტის მეგობრობის ფურცლები (წერილი) . . . . . . . . . . . . . 26
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 28
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს . . . . . . . . . . 29
უცხოური იუმორი . . . . . . . . . 30
18. **ნ. ნახუცრიშვილი** — საქართველოში გავრცელებული სოკოები (წერილი) . . . . . . . . 30
თავშესაქცევი . . . . . . . . . 31



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რევაზ ცუცქირიძეს.



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი—რედაქტ.).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-94-88
პ/მგ. მდივნისა და
მხატვარ.-რედაქტ.—93-94-87
განყოფილებების—93-94-29



„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина. 14.
საქ. კპ ცკის გამომცემლობა უე 00786 ტირ. 87.750. პირ. ფორ. რაოდ. 4$^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 19/VII-68 წ. სტამბის შეკვ. 2473.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი
20
კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლოვან და შერეულ ტყეებში ზაფხულიდან შემოდგომამდე.

საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულია ირემა სოკო. იგი იზრდება შემოდგომობით წიწვიან და შერეულ ტყეებში. ირემას ქუდი ჯერ ბრტყელია, შემდეგ კი — ჩაზნექილი. ქუდის ზედაპირი დაფარულია სქელი, დიდი, კონცენტრულად განლაგებული მუქიყავისფერი ქერცლებით. ქუდის ქვედა მხარეს შესამჩნევია ეკლების შრე, რომელიც ნორჩობაში თეთრია, შემდეგ კი, — მოყავისფრო. ფეხი ქუდისკენ თეთრია, ძირისკენ, — ყავისფერი.

ირემას ჰგავს საჭმელი სოკო — ირმისტუჩა, რომლის ქუდი ტიტველი და მოყვითალო ან მოყავისფრო ხორცისფერია.

თავისებური აგებულებით განსხვავდება ე. წ. საჩეჩელა სოკოები. რომლებსაც ზედა ნაწილი ბუჩქივით დატოტვილი აქვს, ქვედა ნაწილი კი სწორია და ფეხის როლს ასრულებს. ზოგიერთ ადგილას ამ სოკოებს ბაწარასაც უწოდებენ. თითქმის ყველა საჩეჩელა სოკო ტყის მკვიდრია, ნიადაგზე იზრდება. ამ სოკოთაგან შხამიანად არცერთი არ არის ცნობილი, მაგრამ ზოგიერთი მწარე ან უსიამოვნო გემოსია, უხეში რბილობი აქვს და, ამდენად, საჭმელად უვარგისია. მრავალი მათგანი კი გემრიელია. ასეთია, მაგალითად, წითელი საჩეჩელა (სურ. 18), რომელიც ზაფხულ-შემოდგომობით იზრდება წიწვიან და შერეულ ტყეებში, საჭმელად ახალი, ნორჩი იხმარება. ამ სოკოს ზედა ნაწილის ტოტები მოკლეებია, სქელია და ერთმანეთთან მჭიდროდ არის მიჯრილი. ტოტები მიმართულია ზევით, მოთეთროა, თვითეული ტოტის წვერი დაკბილულია და მოვარდისფრო-მოწითალოა, ამის გამო სოკოს წითელი ფერი გადაჰკრავს.

ი. ნახუცრიშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.


მიქლიო


ნიყვი


ცრუ მანჭკვალა


ხეთა მხალი


დუმა სოკო


ქამა სოკო


მუხისძირა


ცრუ ქამა

ИНДЕКС 76157



დათვის სოკო



წითლიო



ხახვილო



წითელი შხამა



მანჭკვალა



არყა



წითელი საჩეჩელა



შხამა



მჭადა



ირემა სოკო